წელიწადი I. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! წელიწადი I.

Къ протоколу № 8
По списи № 25

# სოციალდემოკრატი

ორგანო თფილისის კომიტეტისა რ. ს.-დ. მუშათა პარტიისა.

№ 1. 7 (20) აპრილი 1905 წ. № 1.

**შინაარსი:** თფილისის კომიტეტისაგან.—სოციალდემოკრატია.—თვითმპყრობელობის დარღვევა.—საერო კრება და ჩვენი ტაქტიკა.—გლეხთა მოძრაობა.—შინაური მიმოხილვა.—უმრავლესობა თუ უმცირესობა.—კორესპონდენციები.

გაზეთი გამოვა თვეში ორჯერ. მეორე ნომრიდან სომხურ ენაზედაც დაიბეჭდება.

## თფილისის კომიტეტისაგან.

ცხოვრება მეტათ გართულდა, გამრავალ-ფეროვანდა, ჰაერი გაიჟღენთა რევოლიუციის ნაკადულით და ელის პირველ შემთხვევას ქვეყნათ იჭექოს და არსებული წყობილება წალეკოს. ამასთანავე გამრავლდა პოლიტიკური პარტიები, აღმოჩნდა მრავალ-გვარი პოლიტიკური მიმართულება და ჩვენ მიმართულებას ცილობა. საჭიროა ყველა ამის გარკვევა, გაშუქება და მუშათა პრაქტიკულ მოძრაობის იდეიურათ ხელმძღვანელობა. ეს-კი შეიძლება მხოლოდ ორგანოს საშუალებით. ჩვენ ერთათ ერთი გამოცემა—„პროლეტარიატის ბრძოლა"—რომელიც კავშირის კომიტეტის რედაქტორობით იბეჭდება, ისე გვიან გამოდის, მის სტატიებს ისეთი განყენებული ხასიათი აქვს, რომ სრულიად ვერ აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნილებას. ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ახალ ორგანოს გამოცემა, სახელად „სოციალდემოკრატი". ჩვენ იმედი გვაქვს ამ საქმეში სხვა კომიტეტებიც დაგვეხმარებიან და ჩვენი ერთ მთავარ ნაკლულევანების თავიდან აცილებაში ხელს შეგვიწყობენ. ჩვენ მივმართავთ აგრეთვე ყველა შეგნებულ მუშას დაგვეხმარონ, როგორც გავრცელებით, ისე წერილების მოწოდებით. მუშა თანამშრომლები ჩვენთვის განსაკუთრებით სასურველია. ამისათვის ჩვენ განსაკუთრებული განყოფილება ,,სხვადასხვა წერილები" გვექნება, სადაც მიეცემა ადგილი პარტიის ყველა წევრთა, განსაკუთრებით მუშების ყოველგვარ საგულისხმიერო წერილებს—ამა თუ იმ მიმდინარე კითხვათა და გაზეთის ამა თუ იმ ნაკლულევანებათა შესახებ.

## სოციალდემოკრატია.

ჩვენი გაზეთის სათაურია „სოციალდემოკრატი". ვის ეწოდება სოციალდემოკრატი? რას წარმოადგენს სოციალდემოკრატია? რა სურს მას და საითკენ მიილტვის ის?

სოციალდემოკრატია, როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს, შეიცავს ორ სიტყვას: სოციალისტს და დემოკრატს, ის არის სოციალისტი-დემოკრატი, ე. ი. ის ცდილობს სოციალიზმი განახორციელოს თვით ხალხმა, დემოკრატიამ. ამით სოციალისტი-დემოკრატი ძირიანათ განსხვავდება იმ სოციალისტ-არისტოკრატებისაგან, რომელნიც გასული საუკუნის პირველ ნახევარში ქადაგებდენ- სოციალიზმის დამყარება უნდა მოხდეს არა ძირიდან, დემოკრატიის მიერ, არამედ მაღლიდან—გაბატონებული კლასების მიერ. აი ეს იმ დროს გამეფებული შეხედულობა ერთიანათ დაარღვიეს მარქსმა და ენგელსმა შემდეგი სახელოვანი სიტყვებით: მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეა, პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დემოკრატიული სოციალიზმი ანუ სოციალდემოკრატია დაიბადა.

რა არის სოციალიზმი?

რა არის დემოკრატიზმი?

სოციალიზმი პირდაპირ ნიშნავს საზოგადოებრიობას, საზოგადო ინტერესების კერძო ინტერესების წინ დაყენებას, კერძო ქონების საზოგადო ქონებათ გამოცხადებას, მის განსაზოგადოებას. მაშასადამე ის ეხება საზოგადო ცხოვრების ძარღვს—ქონების უსწორ-მასწორათ განაწილებას, ერთის მეორისაგან გაყვლეფას და დარბევას. მას შემდეგ რაც კერძო საკუთრება აღორძინდა და გაჩნდენ დამჩაგვრელნი და დაჩაგრულნი, მდიდართა და ღარიბთა კლასები, მათ შორისაც ტყდება მუდმივი შეუჩერებელი ბრძოლა არსებობისათვის. ერთი იბრძვის თავის ბატონობის შესარჩენათ და კიდევ უფრო გასაძლიერებლათ, მეორე—ამ ბატონობ

მოსასპობათ და მონობისაგან განსათავისუფლებლათ. ისინი არა ერთხელ შეტაკებიან ერთმანეთს, არა ერთხელ აჯანყებია მონები პატრონთ, ყმები ბატონთ, მაგრამ ყველგან და ყოველთვის დამჩაგვრელნი გამარჯვებულან და დაჩაგვრა გაგრძელებულა. რატომ? იმიტომ რომ ცხოვრების მსვლელობას ჯერ კიდევ ვერ წარმოეშვა ისეთი პირობები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო დაჩაგვრის აღმოფხვრა და ქვეყნათ სამართლიანობის დამყარება. მაგრამ ეს იმას კი არ მოასწავებს, რომ რა-კი წინეთ ვერ მოხერხდა ამ ღრმა ცვლილების მოხდენა, აღარც ახლა მოხერხდება, რაკი წინეთ ასე ყოფილა, მუდამ ასე დარჩება. არა, ცხოვრება ვითარდება, სხვაფერდება, ერთი ხანა მეორეს არ ემსგავსება, და ახალ ახალი პირობები ჩნდება და ამასთან მოაქვს ახალი წყობილება. საჭიროა მხოლოთ ამის შეგნება, მდგომარეობის გათვალისწინება და ამისდაგვარათ მოქმედება. და აი, ამას გვასწავლის ჩვენ თანამედროვე სოციალიზმი, სოციალიზმი მარქსის მიერ შემუშავებული და დასაბუთებული. ის იმით განირჩევა ყველა წინანდელ სოციალისტურ მოძღვრებისაგან, რომ არაფერს არ გონებს, არაფერს არ თხზავს. ფანტასტიურ პლანებს არ აწყობს, ტკბილ ოცნებებს არ ეძლევა, სინამდვილეს არ შორდება; ის ხსნის მხოლოთ რაც არის, აშუქებს მხოლოდ იმას რაც ჩვენ თვალ-წინ ყოველ დღე ხდება, სწავლობს მხოლოთ ნამდვილ ვითარებას და აქედან სკვნის ცვლილების აუცილებლობას, სოციალიზმის დაბადებას.

რატომ დღევანდელ წყობილებამ სოციალისტური წყობილება უნდა დაბადოს? რა არის ამის თავდები? სად არის ამის გასამართლებელი საბუთები?

ყოველ ისტორიულ ხანაში ბატონობს წარმოების ერთგვარი წესი, საზოგადოების ერთი რომელიმე კლასი და ყოველივე იქმნება თანახმათ მისი ინტერესებისა და მდგომარეობისა. მის საშოში, მის სიღრმეში ვითარდება წარმოების ახალი წესი, მრავლდება ამ წარმოების მეთაური კლასი და იწყებს ბრძოლას ძველი ურთიერთობის წინააღმდეგ. ამ ახალი კლასის გამარჯვება ნიშნავს მისი წარმოების, მისი ქონებრივი და გონებრივი მდგომარეობის გამარჯვებას და საყოველთაო მდგომარეობათ გამოცხადებას. ახლა ის გამოდის მთელი ერის მეთაურათ და ბატონობს მანამდის, სანამდის თვითონაც არ წარმოშობს თავისივე დამმარცხებელ კლასს და სამარეში არ ჩაეშვება. ფეოდალთა საზოგადოებაში ჩაისახა ბურჟუაზია, გაძლიერდა და ბოლოს დაარღვია ფეოდალიზმი. მის ნანგრევზე აშენდა ბურჟუაზიული საზოგადოება და მისი წარმოება (კაპიტალიზმი) ქვეყნის მთავარ წარმოებათ გადაიქცა. თუ კი ფეოდალი ბატონობდა მამულით, ბურჟუა — ბატონობს ფულით; ბატონობა, ერთის მეორის მიერ გაყვლეფა ისევ დარჩა. გამოიცვალა მხოლოთ მისი ფორმა. მაგრამ ცხოვრება აქ არ გაჩერდა, ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიაც ჩაისახა და აღორძინდა ახალი კლასი—პროლეტარიატი და ეს ებრძვის მას სამკვდრო სასიცოცხლოთ. რანაირია ეს ბრძოლა? პროლეტარი იბრძვის რაიმე ახალი ბატონობის, ახალი პრივილიგიების დასამყარებლათ, როგორათაც ეს ბურჟუაზიამ მოიმოქმედა, თუ ყოველივე ბატონობის მოსასპობათ და თანასწორობის გასამეფებლათ? ამის გასაგებათ საჭიროა ვიცოდეთ პროლეტარის ეკონომიური ბუნება, მისი ცხოვრების პრინციპი, მისი როლი წარმოებაში და მაშინ გვეცოდინება მისი გამარჯვება რა ნაირი წყობილების გამარჯვება იქნება.

პროლეტარი ეწოდება იმ ადამიანს, რომელიც ყოველივე საკუთრებას მოკლებულია და თავის სარჩენათ იძულებულია თავისი ფიზიკური ძალ-ღონე ფულის პატრონს მიყიდოს, მიექირაოს და აქედან აღებული ქირით უნდა იცხოვროს. მაშასადამე მისი დამახასიათებელი თვისებაა: საკუთრების უქონლობა და ფიზიკური შრომა; პროლეტართა შორის საკუთრების მხრივ სრული თანასწორობაა, არც ერთს ის არ მოეძევა. ასეთივე თანასწორობაა შრომის მხრით — ყველა ცხოვრობს შრომით, მათი ერთათ-ერთი ძალა—შრომაა. ცხადია, პროლეტარიატის გამარჯვება ნიშნავს ამ პრინციპების—ეკონომიური თანასწორობის—გამარჯვებას. მასში უარყოფილია კერძო საკუთრება, ისიც უარყოფს ამას სხვებში და ამყარებს საზოგადო საკუთრებას; მასში უარყოფილია უშრომლობა, ისიც უარყოფს სხვაში მუქთახორობას და ყველასათვის აწესებს შრომას, მისი გაბატონება შრომის გაბატონებაა, ხოლო შრომა-კი ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა; მაშასადამე პროლეტარიის გაბატონება ადამიანის, კაცობრიობის გაბატონებაა. ბატონობა მამულის იყო ბატონობა მემამულის, ბატონობა კაპიტალის კაპიტალისტთა ბატონობაა, ბატონობა შრომის იქნება ბატონობა მშრომელთა ანუ ყველა ადამიანთა. აქედან აშკარაა, სოციალიზმის გამარჯვება შეიძლება მხოლოთ პროლეტარიატის გამარჯვებით. სოციალიზმი მხოლოთ პროლეტარიატის ცხოვრების გამოხატულებაა, ის მხოლოთ მისი ფილოსოფიაა.

მაგრამ ერთი ვიკითხოთ, არის კი პროლეტარიატი რიცხვით იმდენი, რომ მას შეეძლოს გამარჯვება და კაცობრიობის მეთაურობის გაწევა? ხელს უწყობს კი მას თვით წარმოების განვითარება? და ბოლოს, სურს კი მას ამ დიადი როლის შესრულება? გავშინჯოთ თვითეული ეს კითხვა ცალცალკე.

ძარღვი დღევანდელი წარმოებისა არის კონკურენცია. შეძლებული ამარცხებს შეუძლოს, სხვილი კაპილისტი ბაზრიდან დევნის წვრილს, სოვდაგარი აკოტრებს მეწვრილმანეს, ბანკირი ავიწროვებს მესაკუთრეს. ამ გზით საკუთრება ეკარგვის მრავალს და გროვდება მცირე გუნდის ხელში. და ასე, ერთი მხრით მრავლდება პროლეტარიატი, მეორე მხრით კლებულობს შეძლებულთა რიცხვი. ერის უმრავლესობა პროლეტარიატდება. მეორეთ, ამ კონკურენციას, ამ არსებობისათვის ერთმანერთთან ბრძოლას ზოგი უძლებს, საკუთრებას ირჩენს, მარა იმდენათ ცოტას, რომ ის მას არ ყოფნის და იძულებულია დანაკლისი დღის ქირით შეივსოს. ეს არის ნახევარი პროლეტარი და სრულ პროლეტარს გვერდში უდგას. ზოგი კიდევ საკმაო საკუთრებას ირჩენს, მარა იმდენათ დავალიანებული და ყოველნაირი გადასახადით წელში გატეხილია, რომ ის მხოლოთ თავის ოცნებაშია მესაკუთრე, ნამდვილათ-კი მისი მოვალეთა მესაკუთრის გამგეა და ესეც ისეთი გამგე, რომ იქნება შემოსავალი თუ არა—მოვალეთ მაინც უნდა უხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთრება „ტორგით“ ეყიდება და პროლეტართა რაზმში ვარდება.

ამ სახით, წარმოების კაპიტალისტური წესი ამრავლებს პროლეტარიატს, მის ბანაკში დევნის ნახევარ პროლეტართ და ყველა გაჭივრებულთ და მაშვრალთ. პროლეტარიატის ნივთიერი მდგომარეობა ხდება ერის დიდი უმრავლესობის მდგომარეობათ და მით ის გამოდის საზოგადოების მეთაურათ.

კაპიტალიზმი ძირს ითხრის არა მარტო პროლეტარის გამრავლებით, არამედ თვით თავისივე ეკონომიური წესებით. მისი წმრმოების განვითარება აყენებს მას თავისთავთან წინააღმდეგობაში და უარს ყოფს მასვე. და მართლაც, რა არის კაპიტალისტური წარმოება? ის არის თვითეულ საწარმოვო დაწესებულებაში საზოგადო წარმოება. აქ თავმოყრილია მრავალი მუშა და ესენი ერთათ შრომის განაწილებით, საერთო ძალღონით ამზადებენ საქონელს. თუმცა ნივთი საზოგადო შრომის ნაყოფია, მაგრამ მას ისაკუთრებს არა საზოგადოება, არამედ კერძო პირი, კაპიტალისტი. აი პირველი წინააღმდეგობა წარმოებას და განაწილებას შორის. თვითეული კაპიტალისტი მიილტვის რაც შეიძლება მეტი საქონელი დაამზადოს და ბაზარზე გამოიტანოს. და რადგანაც ყველა ამას ცდილობს, ბაზარი საქონლით ივსება, ყველა ვერ იყიდება და პატრონებიც იძულებულია წარმოება შეამციროს ან შეაჩეროს მანამდის, სანამ დამზადებულ საქონელს ხელიდან არ გაიცლის. ხოლო წარმოების შეჩერება ნიშნავს მრავალ მუშათა ულუკმო პუროთ დატოვებას და გალატაკებას. ე. ი. მუშა ღატაკდება იმიტომ, რომ ბევრი საქონელი დაამუშავა! შიმშილობს იმიტომ, რომ ბევრი სიმდიდრე შექმნა! სიმდიდრე ბადებს სიღარიბეს და საერთო მწუხარებას. და ეს იმიტომ, რომ მაშინ, როდესაც თვითეულ კაპიტალისტურ დაწესებულებაში წარმოება პლანითაა, მთელი კაპიტალისტური წარმოება კი უპლანოთ, ალალბედათაა. თვითეულმა იცის რამდენი ნივთი უნდა მას გასასყიდათ მარა არ იცის რამდენი დაამზადა სხვამ და რამდენი უნდა მუშტარს. აქედან წარმოსდგება საერთო ანარქია და კრიზისი წარმოებაში. აი მეორე წინააღმდეგობა პლანით წარმოებას და უპლანოთ განაწილებას შორის. წარმოება ვეღარ ეტევა კაპიტალიზმის ჩარჩოში და კრიზისებით მის წინააღმდეგ მხედრდება. კაპიტალიზმმა აალორძინა და სარბიელზე გამოიწვია იმდენი საწარმოვო ძალა, რომ მის ბრჭყალებში მას სული ეხუთება. მაშასადამე ამ ძალის გასავითარებლათ, მის საზოგადოების სასარგებლოთ სავსებით ასამუშავებლათ საჭიროა ეს ბორკილები დაილეწოს, კაპიტალიზმი მოისპოს და თვით საზოგადოება დაეპატრონოს მთელ წარმოებას. მხოლოთ ამ შემთხვევაში გაქრება წარმოებასა და განაწილებას შორის არსებული წინააღმდეგობა და მით გაქრება თვით კლასებიც. ასეთ ცვლილებას აადვილებს კაპიტალიზმის მესამე უკუღმართობა. ის დაყრდნობილია კერძო საკუთრებაზე და იმავე დროს კონკურენციით ანადგურებს კერძო საკუთრებას, ართმევს საკუთრებას მრავალთ და აძლევს შეძლებულთ. სიმდიდრე მცირე რიცხვის ხელში გროვდება. ღარიბს კიდევ უფრო აღარიბებს, მდიდარს კიდევ უფრო ამდიდრებს. ამით ერთი მხრით გროვდება აუარებელი სიმდიდრე, მეორე მხრით კი გამოუთქმელი გაჭირვება. ამას მიუმატეთ ისიც, რომ თვით კაპიტალისტის ეკონომიური როლი თანდათან სუსტდება და ქრება. ეს თვითონ აღარც კი აწარმოვებს თავის საქმეებს. მას დაქირავებული ყავს დირექტორი, ინჟინერი და სხვა საჭირო პირები და მთელი საქმე ამათ მიყავთ. კაპიტალისტს რჩება მხოლოთ ერთათ ერთი ,,საქმე‘‘—მოგებული ფულის ჯიბეში ჩაჩხრიალება და გარყვნილების მორევში ჩაყურყუმალევება. ცხადია ის ხელს უშლის წარმოებას, ის უდიერათ ფლანგავს საზოგადო შრომით ნაოფლარს და მისი გადაყენება საქმის გაწეს-რიგებაა. და აი, დგება ხანა, როცა ამ ორიოდე წამრთმეველთ უნდა წაერთვას წართმეული ქონება და გადაეცეს ხალხს საერთო საკუთრებათ.

ამ ნაირათ, პროლეტარიატის გამარჯვებას და სოციალიზმის დამკვიდრებას მოითხოვს არა მარტო პროლეტარიატის და, საზოგადოთ, ყველა გაყვლე-

ფილთა ინტერესი, არამედ ამასვე მოითხოვს თვით წარმოების განვითარება, თვით ეკონომიური მსვლელობა.

აქვს კი პროლეტარიატს იმდენი მომზადება, რომ ეს დიდი როლი შეასრულოს? ან სურს კი მას მისი შესრულება?

პროლეტარიატის ასეთ მომზადებას ქმნის იგივე კაპიტალისტური წარმოება. მუშები ერთ ჭერს ქვეშ თავმოყრილნი, ერთ საქმეზე დაყენებულნი, ერთი პლანით ამუშავებულნი უკვე მზათ არიან ერთად ბრძოლისათვის. მუშა ადვილათ იგნებს, რომ მისი სვე-ბედის გაუმჯობესება მჭიდროთ შეკავშირებულია მის ამხანაგების სვე-ბედის გაუმჯობესებასთან და მათთან ერთათ იწყებს მოძრაობას. ბრძოლა წარმოებს პირველათ ცალ-ცალკე ფაბრიკაში ფაბრიკანტთა წინაალმდეგ. შემდეგ სხვადასხვა ფაბრიკის მუშები ერთთებიან და იწვევენ საერთო მოძრაობას. ეს არის კლასიური ბრძოლა. და რადგანაც ის ებრძვის ბურჟუაზიას—ცხადია ის იძულებულია გაშორდეს ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს და დაარსოს თავისი საკუთარი მუშათა პარტია. მეორე მხრით, მუშათა პირველ ამოძრავებისთანავე აშკარა ხდება პოლიტიკური უფლებების საჭიროება: თავისუფლება კრების, სიტყვის, გაფიცვის, კავშირების და პრესის და მათი სასარგებლო კანონმდებლობა. ამიტომ მისი კლასიური ბრძოლა თავიდანვე ხდება პოლიტიკურ ბრძოლათ. მაგრამ პროლეტარიატს არც ეს აკმაყოფილებს, ის ხედავს, რომ რაც უნდა პოლიტიკური და ეკონომიური რეფორმა შემოიღონ, ის მაინც გაბმულია კაპიტალის უღელში, ის მაინც მონაა კაპიტალისტების. და თუ დღეს ოდნავ შეიმსუბუქა ეს უღელი, ხვალ კრიზისებით, ახალი მანქანების შემოღებით, ქალთა და ბავშვთა მცირე ფასში დაქირავებით და მრავალ სხვა თვით პატრონებისაგანაც დამოუკიდებელი მიზეზებით ეს უღელი კიდევ უფრო დამძიმდება და მისი გაჭირება იზრდება. ის ერთ დღესაც ვერ არის უზრუნველყოფილი, ის მუდამ ფიქრში, მოუსვენრობაში და სიღარიბეშია. მაშასადამე დღევანდელ წყობილებაში მუშის კაპიტალის უღლისაგან არა თუ სრული განთავისუფლება, არამედ იმ უღლის ხანგრძლივათ შემსუბუქებაც კი შეუძლებელია. ამით პროლეტარიატი იძულებული ხდება თავის ბაირაღზე კაპიტალიზმის დამსხვრევა დააწეროს და სოციალიზმი განახორციელოს. მებრძოლი პროლეტარიატის გასოციალისტება ისეთი ბუნებრივი მოვლენაა, როგორც დღე და ღამის ცვლილება; მას სხვა გზით სიარული არც კი შეუძლია..

როგორც ხედავთ, აწმყოში უკვე ჩასახულია მერმისი, მომავალი შენობის საძირკველი უკვე ჩაყრილია. როგორც ფეოდალიზმისაგან დაიბადა კაპიტალიზმი. ისე კაპიტალიზმისაგან უნდა დაიბადოს სოციალიზმი. ეს აუცილებელია. კითხვა მხოლოთ იმაშია, ეს დაბადება დავაჩქაროთ და მშობიარობის ტკივილები შევამსუბუქოთ...

ასეთია თანამედროვე სოციალიზმი, ასეთია, მოკლეთ, მისი მოძღვრება. ის მუშათა მოძრაობის თეორეტიული გამოხატულებაა.

### რა არის დემოკრატიზმი?

რაკი სოციალიზმი უნდა განახორციელოს პროლეტარიატმა—დემოკრატიამ, ცხადია მას უნდა ქონდეს თავისუფალი სამოძრაო კალაპოტი ამ დიდი საქმისთვის მოსამზადებლად. თუ ის მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს, არ შეუძლია თავისუფლათ შეიკრიბოს, გაიფიცოს, ილაპარაკოს, იკითხოს და სწეროს, თავისი სასარგებლო კანონები შემოიღოს—ერთი სიტყვით თუ ის ხელფეხ შეკრულია, მას რასაკვირველია ბრძოლა არ შეეძლება და უძლური დარჩება. არც ერთ კლასს ისე არ ეჭირვება სრული პოლიტიკური თავისუფლება, ხალხის შეუზღუდველი ბატონობა, როგორც პროლეტარიატს. მისი კლასიური ბრძოლა ვერ იწარმოებს იქ, სადაც ბრძოლის სარბიელი შებოჭილია და პროლეტარიატი ბორკილ დადებულია. ამიტომ მისი პირველი პოლიტიკური ამოსაღებია ამ ბორკილების დამსხვრევა და თავისუფალი სავალი გზის შექმნა. მაგრამ ამაში დაინტერესებულია ბევრი სხვა კლასებიც, რომელნიც თავის მხრივ ცდილობენ თავისი კლასიური ბრძოლისთვის თავისუფალი სარბიელის მოპოვებას. მაგრამ არც ერთი ისე შორს არ მიდის ამ გზაზე, როგორც პროლეტარიატი, თუმცა მისი გავლენით და ძალდატანებით ზ გი სხვა კლასებიც ითვისებენ მის პოლიტიკურ მოთხოვნილებებს და თხოულობენ სრულ დემოკრატიულ წყობილებას. მაშასადამე დემოკრატი შეიძლება იყოს არა მარტო პროლეტარი, არამედ გლეხი, ინტელიგენტი, ხელოსანი, წვრილი ბურჟუა—ყველა ის, რომელნიც პროლეტართან ერთად შეადგენენ «ხალხს». აშკარაა, დემოკრატიზმი ამ ხალხის (დემოსი—ხალხი) პოლიტიკური მოძრაობის გამოხატულებაა, ეს მისი პოლიტიკური ფილოსოფიაა. მაგრამ აქაც ავანგარდი, მოწინავე რაზმი პროლეტარიატია და მას უკან მისდევს დანარჩენი ხალხი. მთავარი განსხვავება პროლეტარიატს და სხვა კლასებს შორის ის არის, რომ დემოკრატიული წყობილება პირველისათვის არის მხოლოთ საშუალება კლასიური ბრძოლის გასაძლიერებლათ და კაპიტალიზმის ამოსაგდებათ. მეორეთათვის კი თვით ის არის მიზანი, რომლის შემოღებისთანავე უნდა დამყარდეს „კაცთა შორის სათნოება“. მათი პოლი-

ტიკური იდეალი ამას იქით აღარ მიდის. მართალია, ყველა კლასი ცდილობს პოლიტიკური ძალა მოიხმაროს თავის სასარგებლო ეკონომიურ რეფორმების შემოსაღებათ, მაგრამ აქაც ღრმა განსხვავებაა: მებრძოლი პროლეტარიატისათვის ეკონომიური გაუმჯობესებაც საშუალებაა ფიზიკურათ და გონებრივათ მოღონიერდეს და სოციალიზმისათვის ბრძოლა უფრო მედგრათ წაიყვანოს, ხოლო ყველა სხვა კლასისათვის თვით ეკონომიური რეფორმაა მიზანი, მათი ეკონომიური იდეალი ამით იფარგლება.

ახლა კი ცხადია, თუ რა არის სოციალ-დემოკრატია. ის არის პროლეტარიატის პოლიტიკური პარტია, რომლის მიზანია დემოკრატიული წყობილების საშუალებით პროლეტარული სოციალიზმის განხორციელება. ამისათვის ის აერთებს მთელ პროლეტარიატს და მუშა ყავს თავის ფარგალში, იმხრობს ყველა იმ უკმაყოფილო კლასთ, რომელნიც ითვისებენ პროლეტარიატის თვალთახედვის ისარს და ცნობენ პროლეტარიატის მეთაურობით (დიქტატურა) კაპიტალიზმის დალეწვას. სოციალ-დემოკრატიის დროშის ქვეშ დგება ნაციის დიდი უმრავლესობა და მით ხდება ის ნაციონალურ პარტიათ. და რადგანაც სოციალიზმის განხორციელება ვერ მოხდება ერთ ერში ისე, რომ სხვა ერებშიაც არ მოხდეს, ამიტომ თვითეულ ერის სოციალ-დემოკრატია ხელს აძლევს ერთმანეთს და დგება ერთი საერთაშორისო (ინტერნაციონალური) სოციალ-დემოკრატია.

## თვითმპყრობელობის დარღვევა.

თვითმპყრობელობის დარღვევა! თვითმპყრობლობის გახრწნა და დაცემა, აი რა დიადი სურათის მოწამე ვართ ჩვენ დღეს, აი რა იპყრობს მთელ ჩვენ ყურადღებას.

ძირს თვითმპყრობელობა, გაიძახოდა ერთი მუჭა თავდადებულთა ამ რამდენიმე წლის წინეთ; ძირს თვითმპყრობელობა, ხმაურობს დღეს მთელი რუსეთი, არხანგელსკიდან კავკასიამდე, ვარშავიდან კამჩატკამდე. და ეს ბარბაროსობაც შეტოკდა, შეშფოთდა და ძირბუდიანათ ინგრევა. და ასე, ის წყობილება, რომელიც საუკუნოების განმავლობაში ქვეყანას ტანჯავდა და სულთამხუთავათ ედგა, რომელმაც გაანადგურა ხალხის ყოფა-ცხოვრება და დაამონა ადამიანის პიროვნება, აი ეს მტარვალობა სასიკვდილოთ განგმირული ჩვენ თვალ წინ სულს ლევს და სამარეში ეშვება.

როგორ მოხდა ეს შესანიშნავი მოვლენა? როგორ დაითრგუნა ბოროტება და მყარდება სამართლიანობა?

თვითმპყრობლობა აღმოცენდა და გიწვითარდა მაშინ, როცა წარმოებაში მეფობდა მიწათ-მფლობელობა და მეურნეობა, საზოგადოებაში თავად-აზნაურობა და ბატონ-ყმობა, აზროვნებაში ეკლესია და სასულიერო წოდება. ის ამ ძველი წესის პოლიტიკური გამოხატულებაა, მის საძირკველზე ამოყვანილი კედელია. მაგრამ მას შემდეგ რაც ეს საძირკველი შეირყა, წარმოებაში მრეწველობა და ვაჭრობა გაბატონდა, ახალი კლასები წარმოიშვა და აზროვნებასაც მეცნიერება დაეპატრონა, თვითმპყრობლობას ნიადაგი გამოეცალა და ცხოვრების ხორცმეტათ შეიქმნა. ის როგორც გავლილი ხანის ნაშთი, ახალ ხანას მძიმე ტვირთათ დააწვა, მისი მიმდინარეობა შებოჭა, თავისუფალი სავალი გზა მოუჭრა და თანამედროვე საზოგადოება ძველ ბორკილებში ჩააყენა. მისი დამსხვრევა და დატყვევებული ცხოვრების აშვება აუცილებელი გახდა. და აი, მესამოცე წლების ახალგაზდობა იწყებს თვითმპყრობლობასთან მამაცურ ბრძოლას. ერთი მუჭა ინტელიგენცია შეეტაკა ამ უშველებელ ვეშაპს და შემდეგ ხანგრძლივი და სასტიკი ომისა დამარცხდა. საჭირო იყო ახალი საშუალებების გამონახვა, წინანდელი მოქმედების გადახედვა, მისი კრიტიკაში გატარება და უფრო მჭრელი იარაღებით აღჭურვილი ბრძოლის განახლება. ეს იტვირთა რევოლიუციონერთა ერთმა პაწია ჯგუფმა, რომლის მეთაურმა გ. პლეხანოვმა 1883 წ. გამოაცხადა: ინტელიგენცია დამარცხდა იმიტომ, რომ მისკენ ხალხი არ ყოფილა. ის მარტო იბრძოდა სანამ ხალხის მოწინავე ნაწილი თვით არ გამოვა პოლიტიკურ ასპარეზზე—მტარვალობას ბოლო არ მოეღება. ეს ნაწილია პროლეტარიატი. მაშასადამე ,,რევოლიუციური მოძრაობა გაიმარჯვებს ან როგორც მუშათა მოძრაობა ან სულ ვერ გაიმარჯვებს‘‘-ო, იწინასწარმეტყველა მან. ამის წინააღმდეგ ამხედრდა თითქმის მთელი ინტელიგენცია, ის უარს ყოფდა კაპიტალიზმის და პროლეტარიატის არსებობას რუსეთში და რადგანაც სხვა მებრძოლი კლასი არსად ჩნდა, ის უიმედობას ეძლეოდა. რევოლიუციური მოძრაობა მისუსტდა, მიილია და მოედანი დარჩა მთავრობას. რეაქციის მეთაურმა, ალექსანდრე მესამემ, მოიშორა რა რევოლიუციის საფრთხე, შეუდგა ისტორიის ჩარხის უკან დატრიალებას—შკოლები ჩააბარა ხუცებს, გლეხობა ,,ზემსკი ნაჩალნიკებს‘‘, სასამართლო და უნივერსიტეტი პოლიციას, ქალაქთა საბჭო და ერობა სოვდაგართ და მემამულეთ, ერთი სიტყვით ყოველგან და ყველაფერში გაამეფა ძალმომრეობა. მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ ის იძულებული იყო ნივთიერი ურთიერთობა შეეცვა-

ლა და ევროპისათვის დაემზგავსებია. მან აზრი დააბა, ხოლო ორთქლმავალი და კაპიტალი აუშვა. რუსეთი დაისერა რკინის გზებით, გამრავლდა ფაბრიკა-ზაოდები და ხალხის ცხოვრებაც ძირიანათ შეინძრა. და ასე, როცა საზოგადოება, უფრო და უფრო ევროპიელდებოდა, მისი პოლიტიკური ფორმა, სახელმწიფო წეს-წყობილება, უფრო და უფრო აზიელდებოდა. ესენი ერთმანერთს სრულიად აღარ შეესაბამებოდენ და ერთმანერთისაგან დაშორებულნი, დაპირდაპირებულნი სხვადასხვა გზით მიექანებოდენ.

ალექსანდრე მესამის სიკვდილმა და ნიკოლოზ მეორის ტახტზე ასვლამ იმედი აღძრა მოწინავე ბურჟუაზიაში—ლიბერალებში. ისინი ახლა გამოძვრენ თავისი სოროებიდან და აქა-იქ ერობებში მკრთალი ხმა აღიმაღლეს ცოტაოდენი შეღავათებისათვის, ზოგმა კონსტიტუციაც კი ახსენა. ნიკოლოზმა დაიბარა ესენი და თავის სასახლეში გალანძღა, მათ იმედებს „უაზრო ოცნებანი“ უწოდა და მამის პოლიტიკა თავის პოლიტიკათ გამოაცხადა. დაფრთხალი ლიბერალები ისევ მიიმალენ და ძველი მტარვალობა გაგრძელდა.

და აი, როცა ყველა კლასი და ყველა პარტია სასოწარკვეთილებამ მოიცო, როცა საზოგადო მაჯის ცემა მიდუნდა და არსაიდან ხმა, არსაიდან ძახილი არ ისმოდა, აი ამ დროს დატრიალდა ერთი შენიშნავი გარემოება. პეტერბურგის ფაბრიკების მუშებმა მოახდინეს დიდი გაფიცვები (1896 წ.) და მით ქვეყანას ამცნეს თავისი არსებობა. მუშათა მოძრაობა დაიწყო და ის თანდათან გადაიქცა პოლიტიკურ მოძრაობათ. 1900 წლიდან იწყება მუშათა დემონსტრაციები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პროლეტარიატი გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე და დაბადა თავისი პარტია, სოციალდემოკრატია. ამიერიდან თვითმპყრობელობასთან ბრძოლის მეთაურობა წილათ ხვდა სოციალდემოკრატიას და ისიც ბრძოლის ველზე მამაცურათ დადგა.

პროლეტარიატის განძრევამ გაანძრია მთელი მის ზურგზე აგებული შენობა—ბურჟუაზია და მთავრობა. ლიბერალები ხელ-ახლა გამოჩნდნენ დღის სინათლეში და აჟრიამულდენ, სტუდენტობა აბობოქრდა, ერობები ალაპარაკდენ, ცხოვრება აღუღდა და ატოკდა. მეორე მხრით, მთავრობამაც მკლავი მოიმამაცურა და ამ ახალ საფრთხეს თავგანწირვით შეებრძოლა. ამ ბრძოლაში დაეცენ მინისტრები ბოგოლეპოვი, სიპიაგინი და ბოლოს თვითმპყრობელობის მხსნელათ გამოვიდა პლევე. მან გაამრავლა პოლიცია და ჟანდარმები, შემოიღო ყველგან გაძლიერებული დაცვა, სოციალდემოკრატებით აავსო ციხეები და ციმბირი, დასაჯა ლიბერალური ერობები, დაატყვევა მწერლები და [illegible], დახურა მრავალი გაზეთები, წაართვა ფინლიანდელთ კონსტიტუცია, სომხებს საეკლესიო ქონება, დააწიოკა ებრაელები კიშინევში და გომელში, ყოველგან დევნა და შევიწროება, ყოველგან ძალადობა დარბევა!—ეს იყო თვითმპყრობელობის უკანასკნელი ძალღონის მოკრება და სამკვდრო-სასიცოცხლო ომის გამოცხადება. ამავე დროს მან თავისი ძალმომრეობა გადაიტანა მანჯურია-კორეიაში და გამოიწვია იაპონიასთან ომი. ომი შიგნით, ომი გარეთ—აი რა ხაფანგში გაება მთავრობა. ნათქვამია ომი სახელმწიფოს დიდი ეგზამენიაო და რუსეთიც წარსდგა ამ ეგზამენის დასაჭერათ. მაგრამ აქ ის დიდებულათ ჩაიჭრა, მუდმივმა დამარცხებამ გამოაშკარავა მთავრობის მოუმზადებლობა, მხედრობის გათახსირება, სარდალთა ინტრიგები, „ინტენდანსტვო“-ს ქურდობა, წითელი ჯვარის გაძარცვა—ერთი სიტყვით მთელი სახემწიფო წყობილების სიდამპლე და დუხჭირობა. უკმაყოფილება გაიზარდა და მოედვა მთელ საზოგადოებას. ქვეყანა ჩავარდა განსაცდელში და მისი იქიდან გამოსაყვანათ აუცილებელი შეიქმნა თვით საზოგადოების დახმარება. პლევეს პოლიტიკა დაიმსხვრა. მისმა მოადგილემ სვიატოპოლ-მირსკი საზოგადოებას „ნდობას“ ულხადებს და მას ეკითხება, რა გსურთო. ლიბერალები ახმაურდა და სხვადასხვა ყრილობებით და პრესით მთავრობას უპასუხეს—კონსტიტუცია გვსურსო. ამ საერთო ხმაურობაში გაჩუმებული იყო პროლეტარიატი. ამით გამხნევებული თვითპყრობელობა 12 დეკემბრის „უქაზით“ ლიბერალთა „უაზრო ოცნებებს“ კიდევ ერთხელ უარჰყოფს, თანხმდება მხოლოთ თვითმპყრობელობის „დაპაჩინკებაზე“, ზოგი რეფორმის შემოღებაზე. ამასთანავე ის ასე იმართლებს თავს: „ეს მოძრაობა (კონსტიტუციური) არსებული წყობილების წინააღმდეგ უცხოა რუსის ხალხისათვის, რომელიც ძველთაგანვე ერთგულია სახელმწიფოს ძირითადი წყობილებისო“. ე. ი. ხალხი ჩემი მომხრეა და თქვენ ვინა ხართო.

ამ ნაირათ, თვითმპყრობელობამ უარჰყო ხალხის წარმომადგენელთა მოწვევა **ხალხის სახელით** და მით ხალხი გამოაცხადა უმაღლეს მსაჯულათ. და აი, ამ მსაჯულმაც არ დაიგვიანა განაჩენის გამოტანა. 9 იანვარს 300 ათასი პროლეტარი გამოვიდა პეტერბურგის ქუჩაზე და სოციალდემოკრატიასთან ერთად დაიძახა: გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დღეს, გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას, ძირს თვითმპყრობელობავო! და მას გამოეხმაურა მთელი რუსეთის პროლეტარიატი. ხალხის რევოლიუცია დაიწყო...

შეშინებული და ყოველი მხრიდან დაჩიხული მთავრობა იბნევა და დავთარი ეკარგება. ის ჯერ ცდილობს მუშების მომხრობას და თავისი მტარვალური სულის შერჩენას. ამ მიზნით მეფე იბარებს 35 მუშას და მათ თავის მუშათა მოთხოვნილებაში არწმუნებს; შემდეგ აარსებს კომისიას მუშათა მდგომარეობის გამოსარკვევათ, ფაბრიკანტებს კოკოვცევის პირით უთვლის მუშათა ეკონომიური მოთხოვნილება დააკმაყოფილეთო და სხ. მიუხედავათ ყველა ამ ხრიკებისა პროლეტარიატი უარყოფს თვითმპყრობელობასთან კავშირს და მას კიდევ ერთხელ უდგენს პოლიტიკურ მოთხოვნილებებს, რამაც გამოიწვია შიდლოვსკის კომისიის დახურვა. პროლეტარიატი თანდათან სოციალდემოკრატიის დროშის ქვეშ დგება, ის არ ცხრება, ის კიდიდან კიდემდე ღელავს და აღელვებს მთელ საზოგადოებას. მისი ბრძოლის იარაღი—გაფიცვა—შეიქმნა ბურჟუაზიულ დაწესებულებათა იარაღათ. გაფიცვა გამოაცხადა ყველა უმაღლეს სასწავლებლებმა, ბევრ ერობებმა და სხვა ამნაირ საზოგადოებებმა. სახელმწიფოს საქმეთა მსვლელობა შეფერხდა, მთავრობის მექანიზმი მოიშალა, მისი ბორბლები ლილვს გადასცილდენ და ღრიჭინით აქეთ-იქით მიეხეტება. აღარაფერი თავის ალაგას არ ჩერდება, ყველაფერი თავის კალაპოტს ტოვებს და სადღაც მიექანება. თვითმპყრობლობა ხან ერთს მივარდება, ხან მეორეს მაგრამ ვერც ერთს თავს ვერ ართმევს და თავისივე უძლურებაში ირღვევა და იხრწნება.

საჭირო იყო ამ უძლურების უძლურისაგან გამოცხადება, დამარცხების დამარცხებულისაგან აღიარება და აი კიდევაც მოხდა ეს. ნიკოლოზი 18 თებერვლის რესკრიპტით იწვევს საერო კრებას და კანონების შემუშავებას მას ანდობს....

## „საერო კრება“ და ჩვენი ტაქტიკა.

18 თებერვლის რესკრიპტით ნიკოლოზ მეორემ საჯაროთ გამოაცხადა თვითმპყრობლობის დარღვევა, მისი სრული გაკოტრება და მოიწოდა „ღირსეულნი ხალხის ნდობით აღჭურვილნი და ხალხის მიერ არჩეულნი პირნი კანონების განხილვისა და შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებათ“.

როგორ უნდა შევხდეთ ჩვენ ამ მოწოდებას? რა თვალით შევხედოთ ამ მეფის მიერ მოწვეულ საერო კრებას?

ამის გასაგებათ საჭიროა პირველ ყოვლისა გავითვალისწინოთ რა სურს მას და რა გვსურს ჩვენ. რა გზას ადგია ის და რა გზას დავადგეთ ჩვენ.

მთავრობის სურვილი ნათლათ იხატება თვით რესკრიპტში. აქ ის სხვათა შორის სწერს: ვიწვევ საერო კრებას „იმ პირობით, რომ დაცულ იქმნას ჩვენის იმპერიის ძირითადი კანონების შეურყევლობა“, უ. ი. დაცულ იქმნას თვითმპყრობელობათ. გარდა ამისა მას ეძლევა მხოლოთ რჩევის უფლება და არაიმეს გადაწყვეტის და დამტკიცების. აქედან ცხადია, საერო კრებას ის უფრო ქერის, როგორც საშუალებას ის არის კერძო მრჩეველთა და არა დამფუძნებელთა. თვითმპყრობელობის გასათვალისწინებლათ და გასამტკიცებლათ. ძირითადი კანონი, ეს პოლიტიკური მონობის წყარო, ხელშეუხებელი რჩება, მხოლოდ მას მეტის მეტი სიდუხჭირე ჩამოებანება. ამ თვალთმაქცობის გატარება, კრების მოწვევა მინდობილი აქვს ბიუროკრატიას, იმ ბიუროკრატიას, რომელმაც გამოხრა და დასცა მთელი რუსეთი და, რომელიც ისე წინააღმდეგია ყოველივე ცვლილების და თავის პარპაშობის შეკვეცის. აშკარაა ის ყოველ ღონეს მოიღებს საერო კრება რაც შეიძლება დაამახინჯოს და მთელი ხალხის წარმომადგენელთა მაგიერ შეძლებულთა წარმომადგენელნი მოიწვიოს. და ესეც არა თავისუფლათ არჩეულნი, არამედ პოლიციის ძალდატანებით და საარჩევნო აგიტაციის შეზღუდვით. ერთი სიტყვით, მთავრობის სურვილია ისეთი საერო კრება, რომელიც მას გააძლიერებს და დღევანდელი გაჭირებიდან უვნებლათ გამოიყვანს.

რა გვსურს ჩვენ?

ჩვენ გვსურს პირველათ თვითმპყრობელობის, მოსპობა, მთელი ახლანდელი წყობილების თავისი 22 ტომი კანონებით და ურიცხვ-ჟანდარმ-ჩინოვნიკობით ძირიანათ ამოგდება, წარსულთან ყოველივე კავშირის გაწყვეტა და ამ გაწმენდილ ნიადაგზე სრულიად ახალი წყობილების დაფუძნება. ჩვენ გვსურს ხალხის სისხლში ამოსვრილი ტახტი, ქვეყნის ამაოხრებელი და მოღალატე მეფობა სამუდამოთ განადგურდეს და მის ალაგას დაწესდეს ხალხის მართველობა, დემოკრატიული რესპუბლიკა. ამიტომ ჩვენ გვსურს ისეთი საერო კრება, რომელიც თავის თავს დამფუძნებელ კრებათ გამოაცხადებს, ან დამფუძნებელ კრებას მოიწვევს და ამნაირათ ყველა ამ ცვლილებების სისრულეში მოყვანას შეუდგება. მხოლოთ დამფუძნებელ კრებას შეუძლია არსებული წყობილების ძირიანათ შეცვლა და ახალის დამყარება.

ეს არის ორი სხვადასხვანაირი სურვილი, ორი მოპირისპირე მიმართულება. საჭიროა პირველის ჩაშლა მეორის განხორციელება. ამ მიზნის მისაღწევათ შეიძლება ნაჩვენებ იქნეს ორი გზა: ან მთავრობის „საერო კრების“ სრულიად უყურადღებოდ დატოვება, მისი „ამაო ამაოებათა“ აღიარება, იარაღით ხელში მთავრობის დამარცხება, რევოლიუციური მთავრობის შედგენა და მერე დამფუძნებელი კრების მოწვევა; ან და „საერო კრების“ ჩვენი მოქმედების ცენტრათ გამოცხადება. იარაღით ხელში მასზე, მის შედგენაზე და მოღვაწეობაზე, ძალის დატანება და ასე მისი დამფუძნებელ კრებათ გადაქცევა ან მისივე საშვალებით დამფუძნებელი კრების მოწვევა. ეს ორი ტაქტიკა დიდათ განსხვავდება ერთმანეთისაგან და გავშინჯოთ რომელია ჩვენთვის უფრო ხელსაყრელი.

ტაქტიკა პირველი. როგორც იცით, დღევანდელი რევოლიუცია არის რევოლიუცია ბურჟუაზიული, ე. ი. მიმართულია ისეთი ცვლილების მოხდენისაკენ, რო-

მელშიაც დაინტერესებულია არა მარტო პროლეტარიატი, არამედ მთელი ბურჟუაზიული საზოგადოება. ამიტომ მთავრობის ოპოზიციას შეადგენენ თითქმის ყველა კლასები, თვით კაპიტალისტებიც კი. მებრძოლი პროლეტარიატი და მებრძოლი ბურჟუაზია რამოდენიმეთ ერთათ მიდიან და თვითმპყრობელობას სხვადასხვა მხრით ებრძვიან. მთავრობა აქ სრულიად გარიყული, განმარტოვებულია და საზოგადოების თანაგრძნობას მოკლებულია. ამისათვის მისი განადგურება უფრო ადვილია. მთელი რუსეთის პროლეტარიატი იმდენათ გაცნობიერებული და შეკავშირებული არ არის, რომ რევოლიუცია მარტო მან მოახდინოს. და რომ ეს მას შეეძლოს, ის მოახდენდა არა ბურჟუაზიულს, არამედ პროლეტარულ (სოციალისტურ) რევოლიუციას. მაშასადამე, ჩვენი ინტერესია მთავრობამ მოკავშირე ვერ იშოვოს, ოპოზიცია ვერ გაარღვიოს, ბურჟუაზია ვერ შეიერთოს და პროლეტარიატი არ განამარტოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატის დამარცხება და მთავრობის გამარჯვება აუცილებელი იქნება. და აი, სწორეთ აქეთკენ მიილტვის თვითმპყრობელობა. ის უეჭველია თავის საერო კრებაში მოიხმობს თავად-აზნაურობის, ერობების, საბჭოთა, უნივერსიტეტების და სხვა ასეთ ბურჟუაზიულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს, ამით შეეცდება მათი გულის მოგებას, ცოტა დათმობით შემორიგებას და ასე გაძლიერებულ მარტოთ დარჩენილ მუშა-ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებას. ჩვენი მოვალეობაა ამ განსაცდელის თავიდან აცილება. როგორ, პირველი გზით? ვთქვათ, საერო კრებას ყურადღება არ მივაქციეთ. ვიწყეთ ჩვენთვის მზადება და ერთ მშვენიერ დღეს შეიარაღებულნი ქუჩაში გამოვედით საბრძოლველათ. და აი, აქ წინ გვიხდება ერთი მტრის მაგიერ ორი—მთავრობა და საერო კრება! იმ დროს როცა ჩვენ ჩვენთვის ვემზადებოდით ამათ უკვე მოუსწრიათ მოლაპარაკება, შეთანხმება, თავის სასარგებლო კონსტიტუციის შემუშავება და მართველობის ერთმანეთ შორის განაწილება. ეს პირდაპირ მთავრობის სასარგებლო ტაქტიკაა და ამიტომ ერთიანათ უარყოფილ უნდა იქმნას.

მეორე ტაქტიკა კი, პირიქით, მდგომარეობს იმაში, რომ საერო კრება დავაყენოთ ჩვენს მხედველობის ქვეშ, მას არ დავანებოთ მისი ნებისამებრ მოღვაწეობა და მთავრობასთან დაახლოვება. ჩვენ მას მხარს ვუჭერთ იმდენათ, რამდენათ ის თვითმპყრობელობას ებრძვის, და ვებრძვით იმდენათ, რამდენათ თვითმპყრობელობას ურიგდება. ენერგიული ჩარევით და ძალდატანებით დეპუტატთა შორის ვაგდებთ განხეთქილებას, რადიკალებს ჩვენ ვიერთებთ, კონსერვატორთ მთავრობას ვაშორებთ და ასე მთელი კრება რევოლიუციის გზაზე გადაგვყავს. ამ ტაქტიკით მთავრობა რჩება მუდამ განმარტოვებული, ოპოზიცია გაძლიერებული და დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება გაადვილებული.

როგორ უნდა მოხდეს ეს ჩარევა?

პირველ ყოვლისა ჩვენ მოვითხოვთ საერო კრება აირჩეს საყოველთაო პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით. ამ წესის გამოქვეყნების თანავე დაკანონდეს საარჩევნო აგიტაციის სრული თავისუფლება, ე. ი. თავისუფლება კრების, სიტყვის, ბეჭდვის, არჩეულთა და ამრჩეველთა ხელშეუხებლობისა და ყველა პოლიტიკურ დამნაშავეთა განთავისუფლება. თუმცა არჩევნები რაც შეიძლება გვიან დაინიშნოს, რომ ხალხის მომზადების და გაცნობიერების დრო დაგვირჩეს. და რადგანაც საარჩევნო წესების შემუშავება შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის კომისიას აქვს მინდობილი, ჩვენც ამ კომისიაზე და მის წევრებზე უნდა ვიქონიოთ გავლენა. და თუ ბულიგინის კომისიამ ეს უარჰყო და დეპუტატთა არჩევის უფლება მარტო შეძლებულთ მისცა, საჭიროა ამ არჩევნებშიაც ჩავერიოთ, რევოლიუციური ძალდატანებით ამრჩეველნი ვაიძულოთ მოწინავე კანდიდატები აირჩიონ და საერო კრებაში დამფუძნებელი კრება მოითხოვონ. ბოლოს, ყოველნაირი ზომით, დემონსტრაციებით, გაფიცვებით და, თუ საჭირო იქნება, აჯანყებით თვით საერო კრება ვაიძულოთ დამფუძნებელი კრება მოიწვიოს ან თავის თავი გამოაცხადოს დამფუძნებელ კრებათ. დამფუძნებელი კრების მფარველათ უნდა გამოვიდეს შეიარაღებული პროლეტარიატი და ორივემ ერთათ გასწიონ დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ...

აი ასეთია სოციალდემოკრატიული ტაქტიკა და ეს მოგვანიჭებს გამარჯვებას.

# გლეხთა მოძრაობა.

სულ უკანასკნელ დრომდე მეფის მთავრობა გათვითცნობიერებულ პროლეტარიატს განუვითარებელ გლეხ-კაცობით ჩახრჩობას უქადდა. დღეს-კი ეს მისი ბურჯიც მძლავრათ შეინძრა და ლამის ერთი მაგარი მუჯლუგუნი მანც ჩასცხოს, ერთი შოლტი მანც გადაკრას ისედაც დაუძლურებულ თვითმპყრობელობას. გლეხ-კაცობამაც გამოიღვიძა და თავისი გამოღვიძება მედგარი ყიჟინით ამცნო ქვეყნიერებას; მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჩაყლაპული შხამი დღეს გადმოანთხია და მტრებსაც საშინელი თავზარი დასცა, აღსასრულის დღე მოუახლოვა, ჯოჯოხეთი თვალწინ დაუყენა.

რამ გამოიწვია მოძრაობა? საითკენ მიდის ის?

კაპიტალისტურ წარმოების აღორძინებამ ბატონყმურ ურთიერთობას ნიადაგი გამოუცალა. კაპიტალისტური წარმოება—ეს საქონლის წარმოებაა. საქონლის გასასაღებლათ ბაზარია აუცილებელი, მის დასამზადებლათ თავისუფალი მუშაა საჭირო. ამიტომაც ბატონყმობა, აგებული ყმის დამონებაზე, ცხოვრებამ უარყო, ქვეყნის ბრძანებლობა თავად-აზნაურობის მაგიერ ბურჟუაზიას არგუნა—როგორც გსურს, ისე იბატონეო. ადგილ-მამულის მაგიერ ქვეყანას ფული დაეპატრონა. აზრი, რწმენა, სასმელ საჭმელი, ტანთსაცმელი—ყველაფერი ლითონით იზომება, ყველგან მშრალი ანგარიში ბატონობს. ფულის ძებნაში საშინელი მეტოქეობა დამკვიდრდა. მამა შვილს აღარ ინდობს, ძმა ძმას სჭრის ყელს, ყველა ყველას წინააღმდეგ იბრძვის, რომ დამარცხებულის ქონებას დაეპატრონოს. საზოგადოებაში სრული მოუსვენრობაა, ცხოვრებაში სრული გაურკვევლობაა: გუშინდელი მილიონერი დღეს გაღა-

ტაკებულა, გუშინდელი ჩარჩი დღეს მილიონერთა მცირე ჯგუფს უერთდება. საზოგადოება ორათ გაიყო. მდიდარი და ღარიბი, ბურჟუა და პროლეტარი—აი რა მოგვაჩეჩა ხელში ცხოვრებამ. ამ ორ ნაწილს შორის ბრძოლა დიდი ხანია დაიწყო, ის დღითი დღე მწვავდება, ორმო მოპირდაპირე კლასთა შორის ღრმავდება.

ასეთ დანაწილებას სოფელიც ვერ ასცდა. ბაზრის ძებნაში კაპიტალისტი სოფლისკენ იცქირება, „უკულტურო“ გლეხს თავის საქონელს აწვდის, გინდა არ გინდა „განათლდი“—ჩემი საქონელი გაასაღეო. ამნაირათ სოფლელიც საერთო ფერხულში ჩაება, სოფელსაც კაპიტალი დაეპატრონა. აქაც უხმლოდ სისხლის დალვრა, აქაც უზარბაზნოთ მკვლელობა! დღეს ჩარჩი ბედნიერია მაშინ, როცა მის მეზობელ გლეხს კარზე პოლიცია მოდგომია, გინდა არ გინდა სახელმწიფო გადასახადი გვიბოძეო. ჩარჩის იმედიც აქაა, მისი პლანი—ხალხის გატყავების პლანი—ხალხის უბედურების გარშემო ტრიალებს. ცხადია, სოფელშიც ორი მოწინააღმდეგე ინტერესი ბატონობს, სოფელიც ორ ბანაკათ დაირაზმა. ერთი მხრით დგას სოფლის გამდიდრებული ნაწილი—სოფლის ბურჟუაზია (მემამულე თავადაზნაურობა და გამდიდრებული გლეხ-კაცობა) მეორე მხარეზე დგას გაღატაკებული ნაწილი, სულ ერთია თავად-აზნაურთაგან შესდგება ის, თუ გლეხთაგან.

ამ პროცესს, სოფლის ორ ნაწილათ დაყოფას ხელი შეუწყო ერთმა მოვლენამ. ბატონყმობის მოსპობის დროს გლეხს ყმობის ბორკილი შეაძვრეს, მაგრამ ადგილი კი ბატონს მიუტოვეს, მისი სისხლითა და ოფლით მორწყული მამული მუქთახორა თავად-აზნაურობას მიასაკუთრეს. ამით გლეხს ტვირთათ დააწვა „ბრწყინვალე წოდებაც“, რომელმაც დაკარგული ყმა ხელ-ახლა დაიბრუნა და მის გაყვლეფას გულმოდგინეთ შეუდგა.

ამ უმიწა-წყლო და გაჭირვებული გლეხთა ერთი ნაწილი თავის სარჩენათ ქალაქს მიაწყდა, ფაბრიკა-ზავოდებში მუშებათ შევიდა და კაპიტალისტისათვის აუარებელ სიმდიდრესა ქმნის, და აი კაპიტალისტურმა ძარცვა-გლეჯამ დღიური მუშა აალაპარაკა, თავის გაჭირვებაში ჩააკვირვა, განსაკუთრებითი მალამოს ძებნა აიძულა, და კაპიტალისტს შეაჯახა. ბევრს ითმენდა ის, ბევრ ვაი-ვაგლახს იტანდა, მარა ბოლოს მოთმინების ფიალა დაიცალა, და მუშათა კლასმაც იქექა, ბურჟუაზიას სამკვდრო სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. ამ მიზნით, ბრძოლის გასაადვილებლათ მუშათა კლასი შეერთდა, მან თავისი პარტია—სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია წარმოშვა და შეერთებული ძალ-ღონით სოციალიზმისაკენ მიისწრაფვის. ის თხოულობს, ყველა საწარმოვო საშვალებათა—ადგილ-მამულის, ფაბრიკა-ზავოდების, ბანკების, მაშინების და სხვა—საერთო მფლობელობაში გადასვლას. ეს არის ბრძოლა ჩაგრულ კაცობრიობისამჩაგვრელ კაცობრიობის წინააღმდეგ, ტანჯულთა ბრძოლა მტანჯველთა წინააღმდეგ. და აი ამ მიზნისაკენ მიიწევს სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია და აქეთ მოიწოდებს ყველა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთ.

პროლეტარიატის მოწოდება არ დარჩა ხმათ მღაღადებლისა. მას გამოეხმაურა მისი თანამოძმე, მასზე კიდევ უფრო გაყვლეფილი სოფლის მუშა და ჩაება საერთო მოძრაობის ფერხულში. რა უჭირს მას?

მას პირველ ყოვლისა უადგილ-მამულობა, ან ადგილ მამულის სიმცირე სტანჯავს. უზრუნველ ყავით ის სამუდამოთ ადგილ-მამულით, მიეცით მას საშვალება შესაფერი ტეხნიკური გაუმჯობესება მოახდინოს, და დღეს დატანჯული გლეხიც ფეხზე წამოდგება, ის წელში გაიმართება, ბედნიერ ცხოვრებას შეუდგება.

ეს შეუძლებელია კერძო საკუთრების არსებობის დროს, **თუნდაც მთელ გლეხ-კაცობას თანასწორათ დაუნაწილდეს მთელი ადგილ-მამული.** და მართლაც, სანამ კაპიტალისტური აღებმიცემობა არსებობს, სანამ გლეხს თავისი წილი ცალკე აქვს, მანამ ყოველთვის შეიძლება ეს წილი სხვას გადასცეს, დაკარგოს, თვით ბოგანოთ იქცეს. ამისათვის სრულიად საკმაო გლეხს სხვაზე ბევრი შვილი ყავდეს, რომელნიც მის ადგილ-მამულს დაიყოფენ. საკმაოა, ის ავათ გახდეს, სხვა რაიმე უბედურება ეწიოს, გადასახადი მოემატოს, მოთხოვნილება გაეზარდოს, რომ იძულებული გახდეს თავისი წილი სხვას მიყიდოს, თვითონ ცარიელ-ტარიელი დარჩეს, სარჩო-საბადებელი ხელიდან გამოეცალოს.

ამიტომ სოციალდემოკრატია ამბობს, ერთად ერთი საშვალება სოფელი დღევანდელ მდგომარეობიდან გამოვიდეს—**ეს ადგილ-მამულის საერთო მფლობელობაა.** მოსპეთ კერძო საკუთრება და ხალხიც გაბედნიერება, გაანადგურეთ კერძო მფლობელობა, და ხალხის ტანჯვა [illegible] გაქრება. [illegible] საერთო მფლობელობამ გლეხი გა[illegible] მაშინ, როცა ყველა სხვა საკუთრება კერძო პირთა ხელშია, როცა კაპიტალისტური წყობილება ძალაშია? დღევანდელი კაპიტალისტური წარმოება ათასი ძაფითაა გადაბმული, სოფელი უქალაქოთ ერთს წუთსაც ვერ გასძლებს, ქალაქისთვის სოფელი აუცილებელია. ამიტომაც კაპიტალისტური წარმოება ყველაფერს იმორჩილებს, სოფელსაც ისე, როგორც ქალაქსაც. აუშვით მრეწველნი, ბანკირები, მთელი ქალაქის ბურჟუაზია და ის სოფლის კედლებსაც შეანგრევს, როგორც ეს ბატონყმობის განადგურების ხანს მოიმოქმედა. ამიტომაც, სოფელში ადგილ-მამულის საერთო მფლობელობა მაშინ, როცა სხვა საწარმოვო საშვალება—ფაბრიკა-ზავოდები, ბანკები, მაშინები—კერძო პირთა ხელში იქნება, ეს ცხოვრების გა-

საქართველოს

დაუკულმართებაა, მისი კანონების სრული გაუგებრობაა. მართლაც, ადგილ-მამულის დამუშავება უიარაღოთ შეუძლებელია. გაუმჯობესებულ იარაღთა, მაშინების შესაძენათ ფულია საჭირო. ამისთვის საკმაო ფულს გლეხი ვერსათ გააჩენს, თუნდაც მთელი სოფელი, მთელი მაზრა შეერთდეს. ცხადია, ფული განზე უნდა იშოვნო, ამისთვის ბანკირებს მიმართო, ბურჟუაზია მიიმხრო. და აქ ხომ გლეხი ბანკირების ბრჭყალებში გაება, ბურჟუაზიას დაემორჩილა, რომელიც ყოველ ძალ-ღონეს იხმარს უკანასკნელი წვეთი სისხლი ამოსწოვოს, უკანასკნელი პერანგი გააძროს ისედაც ბედშავ გლეხკაცობას. ამნაირათ გლეხკაცობა კვლავ დღევანდელ მდგომარეობაში ჩავარდება, ადრე თუ გვიან არსებული მიწის საერთო მფლობელობა დაირღვევა, ადგილ-მამული ფაქტიურათ, რანაირი შემზღუდველი კანონებიც არსებობდეს, ფულიანთა ხელში გადავა.

ცხადია **მარტო ადგილ-მამულის საერთო მფლობელობა** — ეს ბურჟუაზიული მისწრაფებაა, ეს წყალის ნაყვაა, ეს უნიადაგო მოქმედებაა და ყველა ის პარტიები (როგორც ეგრეთ წოდებული „სოციალისტ-რევოლიუციონერები), რომელნიც კაპიტალიზმის საძირკველზე მიწის საერთო მფლობელობის აგებას ქადაგებენ, ბურჟუაზიული პარტიებია და ხალხის ნამდვილი გზა-კვალის ამბნევია. მხოლოდ სოციალდემოკრატია თხოულობს **ერთსა და იმავე დროს** ყველა საწარმოვო საშვალებათა — ადგილ-მამულის, ფაბრიკა-ზავოდების, ბანკების, მიმოსვლის, მაშინების და სხვ. — საერთო მფლობელობაში გადასვლას, კაპიტალისტურ წესწყობილების ნანგრევებზე სოციალისტურ წესწყობილობის დამყარებას. სოციალიზმის ნაწილ-ნაწილათ განხორციელება, ჯერ მიწათ მფლობელობაში და მერე სხვა დარგებში — ერთი ბურჟუაზიული ჩმახვაა და გლეხობა ამ ბადეში არ გაებმება. სოფლის პროლეტარი, სოფლის ნახევარი პროლეტარიც, განურჩევლათ წოდებისა, ქალაქის პროლეტარიატს გვერდში უდგება, მასთან ერთად სოციალიზმისაკენ მიემართება.

სოფლის გაღატაკებული ნაწილი იტანჯება სოფლის მემამულის და ბურჟუაზიისაგან, მთელი გლეხ-კაცობა კი ერთად თვითმპყრობელობის ბარბაროსულ — კანონებისაგან. დღესაც ისე, როგორც წინეთ, გლეხი, განურჩევლად მდგომარეობისა, აღიარებულია დაბალ წოდებათ და სოფელზე მიჯაჭვულია: გინდა არ გინდა „გადამხდელ" წოდებაში უნდა დალიოს სული. მისთვის თავისუფალი გზა აკვეცილია, თავისუფალი მოქმედება შეუძლებელია. ის კვნესის სახელმწიფო ვალდებულებათა უღელ ქვეშ, რომელიც მთელი თავისი სიმძიმით მარტო გლეხკაცობას დასწოლია, ის სულს ღაფავს პოლიციელთა თვითნებობისგან, „სულიერ ძმათა" გადასახადთაგან. ყველა და ყველაფერი მის წინაალმდეგ ამხედრდა. ხუცები მის რწმენას გაუბატონდნენ, პოლიცია მის აზრს დაეპატრონა, სახელმწიფო მის ჯიბეს აცალიერებს! და გლეხობაც როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგა და თხოულობს თანასწორობას და თავისუფლებას.

ამ ბრძოლაში მთელი ჩვენი თანაგრძნობა გლეხკაცობისაკენაა იმდენათ, რამდენათ ის თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში მთელ რუსეთის პროლეტარიატს უერთდება, სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობის ქვეშ დგება. ეს ხელმძღვანელობაა იმის თავმდები, რომ პოლიტიკური თავისუფლება, რომლისთვისაც მთელი შეგნებული რუსეთი იბრძვის, მთელი ხალხისთვის იქნება, — სახელმწიფო წყობილება, რომელიც თვითმპყრობელობის ნანგრევებზე დამყარდება, უფრო დემოკრატიული დარჩება.

გლეხ-კაცობის ერთ ნაწილს სტანჯავს დროებით ვალდებულება, ხიზნობა; ის იჩაგრება, როგორც საეკლესიო და სახაზინო გლეხი. ბატონ-ყმობის დროს მის ადგილ-მამულს სხვა დაეპატრონა, კისერზე მძიმე უღელი დაადვეს მემამულისა, ხაზინისა და ეკკლესიისა. გლეხკაცობის ერთი ნაწილი დღესაც ასეთ მდგომარეობაშია. და აი მან ხმა აღიმაღლა ასეთ მდგომარეობიდან თავის დასახწევათ და მას ამაში რამოდენიმეთ მხარს უჭერს დანარჩენი გლეხკაცობა. ჩვენ ვთხოულობთ დროებით ვალდებულთ, ხიზნებს, საეკლესიო და სახაზინო გლეხთ სრულ საკუთრებათ მიეცეს ის ადგილი, რომლთაც ისინი ფლობენო — გაისმის ერთი სოფლიდან მეორეში და ეს საერთო გუგუნიც ბატონყმობის დაჟანგულ ბორკილებსაც წყვეტს და ქვეყნის განთავისუფლების განთიადს უმზადებს.

ამნაირათ, გაღატაკებული სოფელი ქალაქის პროლეტარიატთან ერთად მთელი ბურჟუაზიის წინაალმდეგ; მთელი გლეხ-კაცობა პროლეტარიატთან ერთათ თვითმპყრობელობის წინაალმდეგ; ბატონყმობის ნაშთთაგან დატანჯული გლეხკაცობა შეგნებულ პროლეტარიატთან და გლეხკაცობის ერთ ნაწილთან (მსხვილი გლეხკაცობა არაა ამაში დაინტერესებული) ბატონყმობის ნაშთების წინაალმდეგ — აი რა მოგვეცა გლეხთა მოძრაობამ, აი საითკენ მიდის ის. მთელი ამ მოძრაობის მეთაური და ბრძოლის ბოლომდის მიმყვანი მხოლოთ სოციალდემოკრატიაა და რაც უფრო ადრევე სოფლის გაჭირვებული გლეხობა ამას შეიგნებს და მის წითელი დროშის ქვეშ დადგება, მით უფრო მისი განთავისუფლების ხანა მოახლოვდება.

## შინაური მიმოხილვა.

9 იანვარს პეტერბურგის პროლეტარიატმა მოითხოვა 8 საათის სამუშაო დღე და დამფუძნებელი კრება, ე. ი. ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება და თავისუფლება და მით გამოააშკარავა დღევანდელი მოძრაობის საიდუმლოება. და მართლაც, მიმოიხედეთ ყოველგან, როგორც ჩვენში ისე რუსეთში და დაინახავთ ერთ და იმავე მოვლენას: ხალხი ფეხზე დგას და თხოულობს ადამიანურ ცხოვრებას. და რადგანაც ამას არ აძლევს თვითმპყრობელობა, მას ებრძვის და ეომება. პროლეტარი და გლეხი, ხელოსანი და ნოქარი, ლაქია და წვრილი მოსამსახურე—ყველა ის, ვისიც ცხოვრება სხვისაგან არის დამოკიდებული, აუჯანყდა თავის წინანდელ დაბეჩავებას და აღარ სურს ძველ მდგომარეობაში ჩაბრუნება. აღარ რჩება არც ერთი ფაბრიკა, არც ერთი სახელოსნო, არც ერთი საწარმოვო დაწესებულება, რომლის მომუშავენი დიდ და პატარა გაფიცვებს არ ახდენდენ და ამ საერთო კულტურულ აღორძინებაში მონაწილეობას არ იღებდენ. ეს მიმდინარეობა წარმოებს ერთიანათ კლასიური ბრძოლის საძირკველზე. მებრძოლნი თავს იყრიან არა სარწმუნოების, გვარ-ტომობის და ეროვნების თანახმათ, არამედ ნივთიერი მდგომარეობის. ერთნაირათ გაჭირებულნი და გაყვლეფილნი ერთად დგებიან და საერთო ძალ-ღონით გზას იკაფავენ. ეს არის მოძრაობა კლასიური და არა ეროვნული.

აი ეს დაბალი კლასების მაღლა აწევა, მათი წელში გამართვა და აღმართ-აღმართ შეუდრეკელათ მსვლელობა არის დღევანდელი ხანის დამახასიათებელი თვისება. ამ მხრით ჩვენს და რუსეთს შორის არავითარი განსხვავება არ არის. მაგრამ მაშინ, როდესაც რუსეთში ამ მოძრაობის მეთაურათ ალაგ-ალაგ შეიძლება რომელიმე გაპონი, რომელიმე ლიბერალი ან რადიკალი გამოვიდეს, ჩვენში-კი ის ერთიანათ სოციალდემოკრატიის მეთაურობით წარმოებს. ჩვენ კომიტეტებს მიმართავენ ხოლმე არა მარტო მუშები და გლეხები, არამედ თვით ბურჟუაზიის ერთი ნაწილიც-კი. მედუქნე, ყასაბი, მდგმურები, მოხელენი, კანტორჩიკები და სხვა და სხვა ჩვენს ორგანიზაციებს ატყობინებენ თავის გაჭირებას და ელოდებიან დახმარებას. ჩვენში სოციალდემოკრატიული კომიტეტი გადაიქცა ერთნაირ მთავრობათ, საითკენაც მიილტვის ყველა ტვირთ მძიმე და მაშვრალი. და ეს როგორც ქალაქში, ისე სოფელში. რუსეთის გლეხთა მოძრაობა უფრო სტიქიური, უპლანო და შეუგნებელია, ჩვენში კი ეს მუშათა მოძრაობას უკავშირდება და სოციალდემოკრატიული შეგნებით აღჭურვილია. გურიის უკანასკნელი „დეკლარაცია (აღიარება) ადამიანის უფლებებისა“ ჩვენი პროგრამის სამაგალითო შეთვისება და გარკვევაა. სულთან-კრიმ-გირეის ახირებულმა მოგზაურობამ ქვეყანას დაანახვა ის, თუ რა სიმაღლემდის შეუძლია ავიდეს სოფლელთა პოლიტიკური განვითარება. გურია გახდა სოფლის მოძრაობის მებაირაღეთ და მისი მოთხოვნილება გლეხთა მოთხოვნილებათ. და აი, მის კვალს გაყვა არა მარტო მეგრელ-იმერი, არამედ თვით დაძაბუნებული ამერიც. ქართლ-კახეთის გლეხკაცობაც ადგა და თავის მოძმე გურულებს შეუერთდა.

ამგვარათ, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ჩარხს დღეს მუშათა პარტია, სოციალდემოკრატია, ატრიალებს; მის ხელმძღვანელობას ცნობს ქალაქი და სოფელი; მის მოწოდებას მიყვება მთელი ხალხი განურჩევლათ სარწმუნოებისა და ეროვნებისა. სოციალდემოკრატია აქრობს საუკუნოებით შემუშავებულ შუღლს და კარჩაკეტილობას სხვადასხვა ერთა შორის. ის არიგებს ყველა ერის დაბეჩავებულ ნაწილს და ხელთ აძლევს საერთო დროშას.

როგორ უყურებენ ამ დიად სანახაობას მაღალი კლასები და მათი იდეოლოგები? ესენი ცდილობენ ამ საერთო ფერხულში ჩადგენ და ზოგი ჩვენი მოთხოვნილებანი წამოაყენონ; ესენიც აცხადებენ საჭიროა სხვადასხვა ერთა ერთობა და ძმობაო, მაგრამ ყველა ეს ნაძალადევათ, უბრალო სიტყვებათ რჩება და მზათ არიან პირველ შემთხვევისთანავე თავისი ნაციონალისტობა წინ წამოჩხირონ და ერთმანერთს გადაეკიდონ. მაღალი კლასები და მათი იდეოლოგები მთელ დღევანდელ მოძრაობას უცქერიან ნაციონალური თვალით, მათთვის არსებობენ არა კლასთა სოლიდარობა და თანხმობა, არამედ ერთა შუღლი და უთანხმოება. ამიტომ თვითეული თავის თავს მოვალეთ რაცხს დაიცვას მხოლოდ თავისი ერი და შეავიწროვოს სხვა ერი. ქართველი ნაციონალისტი თხოულობს ეროვნულ თვითმართველობას იმ აზრით, რომ ქართველობა მოიგებს სხვა მისი მეზობელი ერების ანგარიშზეო, ხოლო სომხები უფრო ტერიტორიალურ ავტონომიას ეტრფიან ამავე მიზნით—სომხობა მოიგებსო. (იხ. „ივერია“-„ახალ მიმოხილვის“ დავა ამ საგანზე). ამიტომ ესენი ერმანერთს უნდობლათ ეპყრობიან და თავის ინტერესის დაცვას მეორეს ვერ ანდობენ. მუშათა პარტია თავის მოვალეობათ თვლის დაიცვას ყველა შეიწროვებული და დატანჯული განურჩეველათ კლასისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა. ის ერთნაირათ უცქერის ქართველ, სომხის, რუსის და სხვა ერებს და ერთნაირათვე იცავს მათ. ნაციონალისტი კი ზრუნავს მარტო თავის ეროვნებაზე და სხვის შევიწროვებაზე.

ამით აიხსნება ის აურზაური, რომელიც ქართველ ნაციონალისტებმა ასტეხეს თფილისის საბჭოს სომეხ ხმოსანთა კერძო სხდომის გადაწყვეტილების გამო ბულიგინის კომისიაში წარმომადგენელთა გაგზავნის შესახებ. იმათ კანდიდატებათ აღნიშნეს მხოლოდ სომხები, და რადგანაც ნაციონალისტების შეხედულობით მხოლოდ თავის ერის ინტერესის დაცვა შეიძლება—ქართველებმაც გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ. რასაკვირველია ასევე მოიმოქმედებენ სომხებიც ასეთ შემთხვევაში. საბჭომ კი ეს დავა გადასჭრა იმავე ნაციონალური შეხედულობით: თვითეულ ერს თითო წარმომადგენელი არგუნა და მით საჯაროთ აღიარა, რომ ერთი ერის სამართლიან ინტერესს მეორე ვერ დაიფარავსო. ასევე მოხდა იურიდიული საზოგადოების არჩევნებზე. აქედან ცხადია, რა ღრმა განსხვავებაა ჩვენს და მაღალ კლასთა იდეოლოგთა—ნაციონალისტებს—შორის. ამ განსხვავებას კიდევ უფრო ნათლათ ყოფს „საქართველოს“ „პარტიის“ მისწრაფება. მის უკანასკნელ წიგნაკში—„მშრომელ ხალხს“—„პარტია“ თხოულობს „ქართულ პარლამენტს“, „ქართულ ეკლესიას“, „ქართულ სახელმწიფოს“, ერთი სიტყვით „ქართულ ავტონომიას“ და განაგრძობს: „როცა ეს ავტონომია გვექნება, პირველად ყოვლისა უნდა გაუქმდეს ყოველი წოდება“ და სხ. ე. ი. სანამდის ავტონომია არ გვექნება, მანამდის უნდა გვყავდეს „ყოველი წოდება“ და სხვა არსებული ბარბაროსობა! რეფორმათა შემოღებას ის აკავშირებს ავტონომიასთან როცა ეს გვექნება, მაშინ ცვლილებას მოვახდენთო. აშკარაა, მისი ნამდვილი სულის კვეთება აი ეს „ქართული სახელმწიფოა“, ყველა დანარჩენი მოთხოვნილება სიტყვის მასალაა, ბურჟუაზიული მასლაათია, რის მფარველობით თავის ნაციონალიზმს კონდრაბანდათ ასაღებს. ასეთი განკერძოება, თავ-თავის ინტერესების წინ წამოყენება და სხვების ჩაჩრდილვა კიდევ უფრო აპოხიერებს იმ ნიადაგს, რომელზედაც საერთო მტერმა—მთავრობამ—ბაქოს სომეხ-მაჰმადიანთა შეტაკება გამოიწვია.

როგორც ხედავთ, ნაციონალისტები დიდ ამბავშია, ისინი ახლავე ადგენენ სხვადასხვა წყობილების პლანებს, რომელიც რევოლიუციის შემდეგ უნდა განახორციელონ. ვინ ახდენს ამ რევოლიუციას? ხალხი მუშათა პარტიის მეთაურობით, და აი, ნაციონალისტები ემზადებიან ეს სხვისი ოფლით მოპოვებული საუნჯე თვითონ ხელთ იგდონ და დაეპატრონონ. ბურჟუაზია ჩვეულია სხვისი ოფლით ცხოვრებას და ჩვენი ბურჟუა-ნაციონალისტებიც ამ მცნებას მტკიცეთ ასრულებენ. თქვენ რევოლიუცია მოახდინეთ, ხოლო ჩვენ კონსტიტუციას დაგიწერთო, თავმომწონეთ გვიცხადებენ ისინი. ამ ლიბერალ-ნაციონალისტებს ამ ბოლო დროს მოემატენ კლერიკალ-ნაციონალისტები და ფეოდალ-ნაციონალისტები, რომელნიც თავთავიანთ კრებებზე თხოულობენ „ქართულ ეკლესიას“, ხუცების გავლენის გაძლიერებას და მრავალ სხვა ასეთ „რეფორმებს“.

ამნაირათ, მუშათა პარტიის გაძლიერებამ, ხალხის მღელვარებამ სარბიელზე გამოიყვანა ისეთი პირები და პარტიები, რომელნიც აქამდის თავის სოროებში ისხდენ და შიშისაგან გარეთაც ვერ იხედებოდენ. ესენი სხვადასხვა მხრით და სხვადასხვა საშუალებით ცდილობენ დასცენ სოციალდემოკრატია, დაარღვიონ მუშათა პარტია. ჩვენი პარტიული მოვალეობაა ამ მომხვდურთ შესაფერათ დავხვდეთ და მათი ნამდვილი სულის კვეთება გამოვააშკარავოთ.

## „უმრავლესობა“ თუ „უმცირესობა“.

პარტიული უთანხმოება დღითი დღე მწვავდება. ოპორტიუნიზმი, დეზორგანიზაცია, დემაგოგია და სხვა ათასნაირი ბრალდება—აი რა გესმის ყოველი მხრიდან. გუშინდელი ამხანაგები დღეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ ერთმანეთს. პარტიის ორივე მხარე—„უმრავლესობა“ და „უმცირესობა“—დარაზმული დგას, და დღეს არა ხვალ ოდნავ არსებული კავშირი უნდა შეწყდეს, ერთ-ერთი ნაწილი პარტიას მოშორდეს—აი რას გვეუბნება ცხოვრება, აი საითკენ მივყევართ მას.

რა მიზეზია ასეთი მდგომარეობისა? რამ წარმოშვა ეს? „ოპორტიუნისტი“ მარტოვი, რომელიც ლენინს პარტიის მეორე კრებაზე გადაუდგა—აი ბოროტი სული პარტიისა, აი განხეთქილების სათავე, გაიძახიან „უმრავლესობის“ მებაირაღტრენი. მეორე კრებამ „ისკრის“ ზოგი ძველი რედაქტორი არ აირჩია, ამიტომ ისინი გაიბუტენ, გაბუტულთ მიემხრო არჩეული მარტოვი და აი ამან დაბადა პარტიული განხეთქილება—ამტკიცებენ ლენინი და მისი მომხრენი.

ნუ თუ ორიოდე კაცის შეტაკებაა მიზეზი თითქმის ორი წლის უთანხმოებისა? ნუ თუ ერთი ან ორი პიროვნების გაბუტვას და ჟინს შეუძლია პარტიის არევა? ორში ერთი: ან ჩვენი პარტია ისეთი უსუსური და უნიადაგოა, რომ თითო-ოროლა პირს შეუძლია იქით წაიყვანოს, საითკენ მოეპრიანება, ისე არიოს, როგორც მოესურვება, ანდა განხეთქილების მიზეზი უფრო ღრმაა, პრინციპიალურია და მისი გამოაშკარავება „უმრავლესობისთვის“

შავნებელია. რომელია მართალი? ამას დავინახავთ თვით სადაო კითხვის გარკვევით.

ჩვენ ვეცდებით ნათლათ გავარკვიოთ განხეთქილების მიზეზი და ვუჩვენოთ, საიდან მოდის ის და საითკენ მიდის.

## I.

სახელგანთქმულ ,,ნაროდნაია ვოლია‘‘-ს *) დამარცხებით თვითმპყრობელმა მთავრობამ ხალხის მოტრფიალე ინტელიგენციას მაგარი ჩაქუჩი ჩასცხო თავში. თუ აქამდის კიდევ შეიძლებოდა უხალხოთ რევოლიუციაზე მსჯელობა, ინტელლიგენციის **) მცირე ჯგუფის გმირულ საქმეებით თვითმპყრობელობის დამხობაზე ოცნებობა, ახლა ცხადი შეიქნა ამ გზის უვარგისობა და ახალ საშუალებათა აუცილებლობა. სად ვეძიოთ ეს საშუალებები? როგორ შეიძლება მტარვალობის მოსპობა და თავისუფლების დამყარება, კითხულობდენ იმედ მოკვეთილი რევოლიუციონერები. ამ დროს სარბიელზე გამოვიდა რევოლიუციონერთა პატარა წრე, რომელმაც მიიღო სახელი ,,შრომის განთავისუფლება‘‘, და შეიცავდა ოთხ კაცს: გ. პლეხანოვს, აქსელროდს, ზასულიჩს და დეიჩს. და აი, ამათ რუსეთის მუშათა მოძრაობის და ევროპის სოციალდემოკრატიულ მოძღვრების გავლენით თავისთავი გამოაცხადეს კ. მარქსის მიმდევრებათ და პროლეტარიატი აღიარეს ერთ-ერთ რევოლიუციურ ძალათ. ,,რევოლიუცია გაიმარჯვებს როგორც მუშათა მოძრაობა, ან სულ ვერ გაიმარჯვებსო‘‘, სწერდა გ. პლეხანოვი.

,,ნაროდნიკული‘‘ ინტელიგენცია ამხედრდა, ის კაპიტალიზმის დამყარებას უფრთხოდა, რუსეთში მუშათა კლასის არსებობას უარყოფდა. მარა ცხოვრებამ მაინც თავისი გაიტანა და აი 1896 წ. სრულიად მოულოდნელათ პეტერბურგში მოხდა დიდი გაფიცვები. პროლეტარიატი წელში გაიმართა ქვეყანა აალაპარაკა და სასოწარკვეთილთ იმედი აუძრა. ინტელიგენცია ადგილიდან დაიძრა და მუშათა კლასისკენ გაემართა.

მუშათა ეს პირველი დიდი მოძრაობა უფრო ეკონომიური ხასიათის იყო, მუშათა კლასი თავის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებას თხოულობდა და პოლიტიკურ კითხვებს არ ეხებოდა. მისი მომხრე ინტელიგენცია დაექვემდებარა მას, პროლეტარიატის პირველი ნაბიჯი თავის პროგრამათ გამოაცხადა და მით მისცა დასაბამი ეგრეთ წოდებულ ,,ეკონომიზმს‘‘. პოლიტიკური ბრძოლა ბურჟუაზიის საქმეა, მუშამ ეკონომიურათ უნდა იბრძოლოსო—ამბობდენ ,,ეკონომისტები‘‘. ამ მიმართულების ორგანო ,,Рабочая мысль‘‘, ,,მუშის აზრი‘‘ იყო, რომელმაც შემდეგ რამდენიმე ცვლილება განიცადა და პოლიტიკური კითხვებიც წამოაყენა. ,,ეკონომიზმის‘‘ „დაპაჩინკება‘‘ იტვირთა მეორე ორგანომ—,,Рабочее дѣло‘‘-მ—,,მუშათა საქმე‘‘-მ, მარა როგორც ყოველი ,,პაჩინკა‘‘ ის ვერავის აკმაყოფილებდა. პოლიტიკურათ უნდა ვიბრძოლოთ, მარა იმდენათ, რამდენათ ამას თვით ეკონომიური ბრძოლა იწვევსო, სწერდენ ,,Рабочее дѣло‘‘-ს მეთაურები. ამნაირათ პოლიტიკა ,,ეკონომიზმის‘‘ ,,დავესკა‘‘ შეიქნა. სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელიც 1898 წ. დაარსდა, პოლიტიკური ელფერი ჩამოაცალეს, მას წილათ ბურჟუაზიულ დემოკრატიის უკან ჩანჩალი არგუნეს. ასეთი ვიწრო აზროვნება შეეფერებოდა მაშინდელ მუშათა მოძრაობას და რაღა გასაკვირალია ის გაბატონებულიყო პარტიაში.

მარა ცხოვრება აღარც აქ გაჩერდა. პროლეტარიატის განვითარება ჩქარის ნაბიჯით წინ წავიდა. ის ძალაუნებურათ ხდებოდა თვითმპყრობელობის ბორკილებს. თვითოეული გაფიცვა მუშათა გამათრახებით, დატუსაღებით და გაციმბირებით თავდებოდა. პროლეტარიატი ძალაუნებურათ შედგა პოლიტიკურ გზაზე და ბრძოლა ქუჩაში გადაიტანა. 1900 წ. მაისში ქ. ხარკოვში მუშებმა გაიფიცეს და შემდეგ მაისობაც იდღესასწაულეს. რუსეთის ყოველ მხრივ შებოჭილმა ცხოვრებამ მუშათა კლასი ,,ეკონომიზმის‘‘ ფარგლებიდან დასძრა და აშკარა პოლიტიკური ბრძოლაც დაიწყო. შემდეგ საკმაო იყო სტუდენტების აღელვება 1901 წ., რომ მუშები მათ დასახმარებლათ გაქანებულიყვენ და ამნაირათ სტუდენტური მოძრაობა აკადემიურ მოძრაობიდან მუშათა ზეგავლენით საერთო პოლიტიკურ მოძრაობათ გამხდარიყო. ძირს თვითმპყრობელობა! ჩვეულებრივ თქმულებათ გადაიქცა.

და აი, როცა მუშათა მოძრაობამ წინ წამოაყენა პოლიტიკური ბრძოლა, ინტელიგენციაც ამ კითხვას ებღაუქება და მის გარკვევას იწყებს. ამით მიეცა დასაბამი პოლიტიკურ მიმართულებას, რომლის მეთაურობა და ცხოვრებაში გატარება ახლათ დაარსებულმა გაზეთმა ,,ისკრა‘‘-მ იტვირთა *).

რა გზას უნდა დადგომოდა ,,ისკრა‘‘? ცხადია რას. მას უნდა გაერჩია ,,ეკონომიზმი‘‘, ყალბი

---

*) მესამოცდა ათე წლების მიწურულში პოლიტიკური პარტია, რომელმაც 1881 წ. მარტს ალექსანდრე II მოკლა. **) ის შედგებოდა ინტელიგენციისაგან.

*) ,,ისკრის‘‘ რედაქტორები იყვენ გ. პლეხანოვი, აქსელროდი, ზასულიჩი, ლენინი, მარტოვი და სტაროვერი, პირველი ნომერი 1900 წ. დეკემბერში გამოვიდა, მეორე 1901 წ. თებერვალში.

ელემენტი უარეყო, ხოლო ჭეშმარიტი მიელო და ახალ კალაპოტში ჩაეყენებია, ე. ი. პროლეტარიატის ეკონომიური ბრძოლის ნიადაგზე უნდა აეგო სოციალდემოკრატიული შენობა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ,,ეკონომიზმთან'' ბრძოლამ გამოიწვია მეორე უკიდურესობა, ეკონომიური ბრძოლის დამცირება, აბუჩათ აღება და პოლიტიკური ბრძოლის გაბატონება. პოლიტიკა უეკონომიოთ—აი ახალი მიმართულება. ამ ახალი მოძღვრების მებაირაღტრეთ გამოვიდა „ისკრის“ ერთი რედაკტორთაგანი—ნ. ლენინი. მან თავის ცალმხრივ აზრებს, რომელიც „ისკრაში“ აქა-იქ გამოთქვა, თავი მოუყარა, კიდევ უფრო გააზვიადა და ცალკე წიგნაკათ გამოსცა. ეს წიგნაკია „Что дѣлать“.

რატომ ლენინმა ასე დაამცირა ეკონომია და აამაღლა პოლიტიკა? *)

ინტელიგენცია უპირველესათ თვითმპყრობელობით იტანჯება. ამიტომაც ინტელიგენციის უმრავლესობას პოლიტიკური კითხვა უფრო აინტერესებს. მუშათა კლასი უმეტესათ კლასთა წინააღმდეგობით იტანჯება, და ამიტომაც მას სოციალური კითხვა აინტერესებს. აი აქ იბადება წინააღმდეგობა.

ინტელიგენციის უმრავლესობა თვითმპყრობელობის დაცემას უჩქარის, მთელ პარტიულ ტაქტიკას თვითმპყრობელობის სიმაგრეს უპირდაპირებს. პროფესიონალურ ბრძოლას კი აფუჩეჩებს, მას სოციალდემოკრატიულ პრაქტიკიდან ნელ-ნელა დევნის. პროფესიონალური ბრძოლა, მარა იმდენათ, რამდენათ ეს პოლიტიკურ აგიტაციას უწყობს ხელს, აი საითკენ მიერეკება ინტელიგენციის უმრავლესობა პროლეტარიატის პარტიას.

როგორც ხედავთ პარტია ორ ნაწილისგან შედგება—პროლეტარებისა და ინტელიგენტებისაგან. რომ უკანასკნელის მიმართულება გაბატონდეს, საჭიროა ამ მიმართულების მატარებელის—ინტელიგენციის—გაბატონება. რომ ინტელიგენციის უპირველესი მიზანი—თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობის აჩქარება—პარტიის მთავარ ძარღვათ გადაქცეულიყო, მუშათა თაოსნობა და მნიშვნელობა პარტიაში უნდა დატუქსულიყო, მისი მისწრაფება ვიწრო კალაპოტით შეზღუდულიყო. და აი ლენინიც აცხადებს: „მუშათა მოძრაობის სტიქიური განვითარება მიდის ბურჟუაზიულ იდეოლოგიის დამორჩილებისაკენ...., რადგანაც სტიქიური მუშათა მოძრაობა ტრედიუნიზმია.., ტრედიუნიზმი კი ნიშნავს მუშათა იდეოლოგიურ დამორჩილებას ბურჟუაზიისადმი *) ყველა ქვეყნის ისტორია ამტკიცებს, რომ თავისი საკუთარი ძალღონით მუშათა კლასს შეუძლია შეიმუშაოს მხოლოთ ტრედიუნისტური შეგნება, ე. ი. დარწმუნება იმაში, რომ საჭიროა კავშირების შედგენა, ხაზეინებთან ბრძოლა, მთავრობისგან ამა თუ იმ სასარგებლო კანონების გამოცემის მოთხოვნა და სხვ.“ **) აქედან აშკარაა, რომ ავტორის აზრით მუშათა ბუნებრივი განვითარება მიდის არა სოციალიზმისაკენ, არამედ ბურჟუაზიულ იდეოლოგიისაკენ, ე. ი. მუშა თავისი მდგომარეობით უფრო ბურჟუაა, ვინემ სოციალისტი, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ მდგომარეობა ქმნის შეგნებას და არა შეგნება მდგომარეობას.

რაკი მუშათა კლასი თავისი ძალ-ღონეზე მიშვებული დაღუპვისაკენ მიდის, ცხადია საჭიროა მისი ამ გზიდან გადმოყვანა და ჭეშმარიტ გზაზე გადაყვანა. ვინაა მისი ასეთი მხსნელი? ეს არის ინტელიგენცია, ამბობს ლენინი. „სოციალდემოკრატიული შეგნება არც შეიძლებოდა ქონებოდა მუშებს. ის მახში უნდა შეტანილიყო გარედმიდან.... სოციალიზმის მოძღვრება აღმოცენდა იმ ფილოსოფიურ, ისტორიულ და ეკონომიურ თეორიებზე, რომელსაც ამუშავებდენ შეგნებულ კლასთა წარმომადგენელნი—ინტელიგენცია. თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმის დამაარსებელნი, მარქსი და ენგელსი, თავისი სოციალური მდგომარეობით ეკუთვნოდენ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას. აგრეთვე რუსეთში სოციალდემოკრატიის თეორეტიული მოძღვრება აღორძინდა სრულიად დამოუკიდებლათ მუშათა მოძრაობის სტიქიურ განვითარებისაგან, აღორძინდა, როგორც ბუნებრივი და აუცილებელი შედეგი რევოლიუციურ-სოციალისტურ ინტელიგენციის აზროვნების განვითარებისა“ ***). ლენინი ამასაც არ ჯერდება. „კლასიური პოლიტიკური შეგნება მუშას ეძლევა **მხოლოდ გარედმიდან** (კურსივი ავტორისაა), ე. ი. ეკონომიური ბრძოლისა, მუშათა ხაზეინებთან დამოკიდებულების გარეშე ****), უმატებს ის.

ამნაირათ, ლენინის აზრით, მუშათა კლასი მთელ თავის პოლიტიკურ შეგნებას ღებულობს გაბატონებულ კლასთა წარმომადგენლებისაგან—ინტელიგენციისაგან. ეს ცოტაა. ეს ინტელიგენცია თავის სოციალდემოკრატიულ აზროვნებას ანვითარებს სრულიათ დამოუკიდებლათ მუშათა მოძრაობისაგან. ის თვითონ თავისი თავიდან ქმნის „სოციალიზმს“, მუშებს აწვდის მზა-მზარეულათ, ესენიც

---

*) ნუ დაივიწყებთ, რომ სიტყვა ,,პოლიტიკური'' აქ ყოველგან იხმარება მხოლოდ თვითმპყრობელობასთან ბრძოლის მნიშვნელობით.

*) 28 გვ. **) 20 გვ. ***) 21 გვ. ****) 59 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოვებენ თავის ბუნებრივ (სტიქიურ) გზას და მისდევენ ამ მის მხსნელ ინტელიგენტებს. აი მთელი ლენინიზმი, აი რას ქადაგებს „უმრავლესობა“. ეს პარტიაში ინტელიგენციის სრული გაბატონებაა და პროლეტარიატის დამცირებაა.

როგორია მარქსიზმი? რას ამბობენ თვით მეცნიერულ სოციალიზმის წარმომადგენელნი?

კ. კაუცკი თავის „ერფურტის პროგრამაში“ სწერს: „პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ინტერესები იმდენათ ეწინაალმდეგება ერთი მეორეს, რომ შეუძლებელია ორივე კლასის მიდრეკილება დიდი ხნით შეერთდეს. ყოველგან, სადაც კაპიტალისტური წარმოება დამკვიდრდა, მუშათა კლასის მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში, ადრე თუ გვიან მიიყვანს იქამდი, რომ ის (მუშა კლასი) გამოეყოფა ბურჟუაზიულ პარტიებს და დააარსებს დამოუკიდებელ მუშათა პარტიას. ეს ერთიანათ ბუნებრივი მოვლენაა.... სადაც საქმე მუშათა პარტიის დაარსებამდე მივიდა, უკანასკნელი (მუშათა პარტია) ადრე თუ გვიან ბუნებრივი აუცილებლობით შეითვისებს სოციალისტურ მისწრაფებებს, (თუ კი მით თავიდანვე არ სულდგმულობს) იძულებული იქნება სოციალისტურ მუშათა პარტიათ იქცეს, ე. ი. სოციალდემოკრატიათ“*).

ლენინის აზრით მუშათა სტიქიური მოძრაობა მიდის ბურჟუაზიასთან შეერთებისაკენ, კ. კაუცკის აზრით კი ის მიდის ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტისაკენ და თავისი პარტიის დაარსებისაკენ.

ლენინის აზრით პროლეტარიატი ითვისებს სოციალისტურ მოძღვრებას ხელოვნურათ, ინტელიგენციის საშვალებით; უამისოთ ის ტრედიუნისტია. კ. კაუცკის აზრით კი მუშათა კლასი ბუნებრივი აუცილებლობით თვითონ ითვისებს სოციალისტურ იდეებს. ის მდგომარეობით სოციალდემოკრატია.

ლენინის აზრით სოციალისტური იდეოლოგია შემუშავდა სრულიად დამოუკიდებლათ მუშათა მოძრაობისაგან. ენგელსის აზრით კი „მეცნიერული სოციალიზმი არის თეორეტიული გამოხატულება მუშათა მოძრაობისა...“ „ის არ არის რა, გარდა იმისა რომ გონებრივათ ხატავს წინააღმდეგობას საწარმოვო ძალთა და წარმოების წესებს შორის, ეს იდეალური გამოხატულებაა პირველ ყოვლისა იმ კლასის თავში, რომელიც იტანჯება ამ წინააღმდეგობისაგან, ე. ი. მუშათა კლასისა“**). მარქსი ამბობს, რომელიმე კლასის თეორეტიკი თეორეტიულათ მიდის იმ დასკვნამდის, რომლისაკენაც თვითონ კლასი უკვე მივიდა პრაქტიკულათო***).

ერთი სიტყვით, ლენინიზმი ძირიანათ ეწინააღმდეგება მარქსიზმს. მარქსიზმი პროლეტარიატის ფილოსოფია, ის პროლეტარიატის მდგომარეობის და აზროვნების დასაბუთებაა. ლენინიზმი კი ინტელიგენციის ფილოსოფიაა, ის ინტელიგენციის ბატონობის წამოაყენება და ამ ბატონობის დასაბუთებაა.

მეტყვიან: ეს შეიძლება ასე იყო დასავლეთ ევროპაში, იქ მართლაც მუშებმა ითამაშეს დიდი როლი პარტიის შექმნაში, აქ რუსეთში კი სულ სხვაა, აქ სოციალდემოკრატიული აზროვნება მართლაც მუშათა დამოუკიდებლათ განვითარდა, როგორც ამას ლენინი ამტკიცებსო. მართალია ეს?

სოციალდემოკრატიული პროგრამმა წამოაყენა გ. პლეხანოვმა 1883 წ. ხოლო 1879 წ. „ჩრდილოეთის მუშათა კავშირმა“, რომლის წევრები მხოლოდ მუშები იყვენ, თავის სახელოვან მოწოდებაში პირველათ გამოაცხადეს სოციალდემოკრატიული პროგრამმა და აღიარეს სოციალიზმი მიზნათ, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვება საშუალებათ*).

ამ პროგრამმის წინააღმდეგ ამხედრდა მაშინ მთელი რევოლიუციური ინტელიგენცია, რომელთა შორის პლეხანოვიც იყო. ამ ბრძოლის მეოხებით „მუშათა კავშირი“ დაირღვა და მისი პროგრამმაც დავიწყებულ იქმნა. და აი, შემდეგ რამოდენიმე წლისა პლეხანოვი და მისი ჯგუფი უბრუნდება ამავე პროგრამმას. და მას უფრო საფუძვლით და მეცნიერულით ასაბუთებს**).

აქედან აშკარაა, რამდენათ მართალია ლენინი, როცა ამბობს, რუსეთში პირველათ ინტელიგენციამ წამოაყენა სოციალდემოკრატიული მოძღვრებაო. ის ფაქტების გადამახინჯებასაც არ მოერიდა ინტელიგენციის ასამაღლებლათ და პროლეტარიატის დასამცირებლათ.

და აი, მიუხედავათ ამ თეორიის და ფაქტების აშკარა დამახინჯებისა, მიუხედავათ მარქსიზმის უარისყოფისა, ლენინიზმი მაინც პოულობს დიდ გავლენას პარტიაში და ხდება „უმრავლესობის“ მოძღვრებათ.

როგორ მოხდა ეს? ამას დავინახავთ შემდეგ წერილში.

## კორესპონდენციები.

### გლეხთა მოძრაობა თფილისის გუბერნიაში.

ქონებრივმა სილატაკემ და თვითმპყრობელ მეფის მხეცურმა კანონებმა სოფლელებსაც დაუკარგეს მოთმინება, ქალაქის მუშებს გლეხებიც გამოეხმაურენ და ისინიც საერთო ფერხულში ჩადგენ, იმათაც გაიღვიძეს და მჩაგვრელებს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს. ყველგან ბრძოლის საჭიროებაზე ლაპარაკობენ, ყველას გაფიცვა აკერია ენაზე, ყველგან „ერთობას“ გაიძახიან, თვითონ ჰაერიც „ერთობით“ არის გაჟღენ-

*) 106—108 გვ. „ერფურტის პროგრამისა“.
**) იხ. „Научный соціализмъ.“
***) „18 Брюмера“ გვ. 106.

*) ეს მოწოდება დაბეჭდილია მარტოვის „Красное Знамя“-ში.
**) თვით პლეხანოვი ამბობს თავის წერილებში ლენინის წინააღმდეგ თუ რა დიდი გავლენა ქონდა მასზე მუშათა მოძრაობას და როგორ დაადგა ის ამ გავლენით მარქსიზმის გზას. იხ. „ისკრა“ № 70 და 72.

თილი. რამდენიმე თვის წინად თუ ძნელი იყო სოფელში ოცი-ორმოცი კაცის შეკრება, დღეს მთელი სოფელი, მთელი სამამასახლისო, ხშირად რამდენიმე სამამასახლისო იკრიბება ერთად. კრებას ხშირად ოცი ათასამდე კაცი ესწრება. ლაპარაკობენ უშიშრად, გაბედულად, პირდაპირ. ყველგან მემამულეების ძარცვა-გლეჯას ახსენებენ, ყველა ღვდლების ღორმუცელობას და მატყუარობას ჰკიცხავს, ყველგან წყევლა-კრულვით იხსენიებენ ნიკოლოზ მეორის მთავრობას და იმის მოსპობას ერთხმად თხოულობენ. ყველა აშკარად ხედავს, რომ თვითმპყრობელ მთავრობას ხალხის ინტერესების დაცვა არ ძალუძს და ყველას მხლოდ ხალხის მთავრობის იმედი აქვს, ყველა საჭიროდ თვლის დაფუძნებულ კრების მოწვევას. ყველა ხედავს, რომ ნეტარი და თანაც ძნელი დრო დადგა, ყველა გრძნობს, რომ ძალმომრეობის წინააღმდეგ ძალის ხმარებაა საჭირო, რომ დღევანდელ უსამართლობას მთელი რუსეთის მშრომელი ხალხის შეერთებული ძალა დაამსხვრევს, მიწასთან გაასწორებს. სომეხი, ქართველი, თათარი, ურია, რუსი, ქალი, კაცი—ყველა უნდა შეერთდეს, რომ გამარჯვება მოიპოვოს. ეს აზრი გამოითქვა იმ ურიცხვ კრებებზე, რომელიც თფილისის გუბერნიის სხვა და სხვა ადგილას გაიმართა. ხაშურში და ბორჯომის ხეობაში, სურამში და ქარელში, კავთისხევში და ქვემო ჭალაში, მცხეთაში და საგურამოში, საგარეჯოში და ხაშმში, [illegible]ში და გომარეთში, ახალქალაქში და მეტეხ[illegible] სიტყვით ყველგან ერთსა და იმავეს იმეორებენ, ყველგან ერთგვარ მოთხოვნილებას აღგენენ. საზოგადო ეკონომიურ მოთხოვნილებათა გარდა საინტერესოა შემდეგი: ხალხის დამღუპველი ომის [illegible], მუდმივი ჯარის გაუქმება, თვითმპყრობელობის მოსპობა და დამფუძნებელი კრების მოწვევა. საქართველოს ავტონომიაზე ერთი სიტყვაც არსაიდან ისმის.

„უსწავლელმა“ ხალხმა დაუმტკიცა ჩვენ მეცნიერ „სოციალისტ-ფედერალისტებს“, რომ ის არც ისე უჭკუოა, რომ მტრები მოყვრებისაგან ვერ გაარჩიოს. საქართველოს დამოუკიდებლობა, საქართველოს ეკკლესიის განცალკევება და სხვა ასეთი „სიბრძნე“ ,,ტეტიებს‘‘ სრულიად არ აინტერესებს და ავტონომიის მოციქულებს ბევრგან მოაბეს სამარცხვინო „ჟესტი“. ასეთ მატყუარა „სოციალისტებს“ კიდევ გაუძლებდა კაცი, ამ ვაჟბატონების წინააღმდეგ სიტყვით და დარწმუნებით იმოქმედებ, მათი მატყუარობის დამტკიცება შესაძლებელია, თუმც მათი ორპირობა, სოციალისტურ სამოსელში გახვეული ნაციონალიზმი ცოტატი საქმეს აძნელებს.—ჩვენი პარტიის პროპაგანდას რომელიც ცდილობს მოძრაობა სასურველ კალაპოტში ჩააყენოს, ხელს უშლიან მემამულეები და მღვდლები, რომელნიც, როგორც ყოველთვის, ჯაშუშების როლს ასრულებენ. როცა ამითაც ვერას გახდენ მთავრობა მოიშველიეს და ქართლის სხვა და სხვა ალაგი ბრძოლის ველად აქციეს. ამ ჟამად ყაზახები და სალდათები დაბანაკებულნი არიან ქვემო ჭალაში, კარალეთში, ცხინვალში, შინდისში, ქარელში, გორში და სხვაგან. ღვთის მოყვარე მხედრობა ზოგან შკოლაში მოათავსეს (მაგალ. ცხინვალში და ქვემოჭალაში) ზოგან გლეხების სახლებში. ძნელი წარმოსადგენია სოფელში დაბანაკებული მხედრობის თავგასულობა, არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, გლეხი შეავიწროვონ: სტაცებენ სასმელ-საჭმელს, ართმევენ შინაურ, პირუტყვს, ასე გასინჯეთ ოჯახის მარჩენალ ძროხას და ხარებსაც კი მიერეკებიან და „ნანადირევს“ არხეინად შეექცევიან. არავინ აღარ არის უზრუნველყოფილი ყაზახების მათრახისაგან. ყველამ მოთმინება დაკარგა. გლეხების გაბრაზება იქამდინ მივიდა, რომ მზად არიან ჯარს თავს დაესხან თუნდაც ცარიელი კომბალ-კეტებით. მთავრობა თვითონ ცდილობს უიარაღო ხალხი საბრძოლველად გამოიწვიოს, დაამარცხოს და ბრძოლის სურვილი სამუდამოდ ჩაუქროს.

ასე მოიქცა მეფის მთავრობა ქ. გორში, 14 მარტს. მან სრულიად უდანაშაულო ხალხის სისხლი დაღვარა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ხალხმა გარეთ გამოსვლა გაბედა და უსამართლობა საჯაროთ დაგმო. დემონსტრაცია დილით დაიწყო; არავითარ ძალმომრეობას, არავითარ უწესოებას ადგილი არ ქონია. ის იყო ხალხი დაიშალა და სახლში წასვლას აპირებდა, რომ მხეცმა კნიაზმა პრისტავმა ავალოვმა სალდათებს სროლა უბრძანა... იქვე მოკვდა ორი: 1. **არშაკ მურადოვი**, სამოქალაქო სასწავლ. მოსწ.—13 წლისა და ნოქარი **ივანე მუჭაიძე**—19 წლ. დაიჭრა რვა, იმათგან ორი—სიკო სათუქაშვილი და მიტრო გიორგაძე—გარდაიცვალენ. ასე მხეცურად ექცევა მთავრობა გლეხებს და თავად-აზნაურობის და „სულიერი მამების“ დიდი ნაწილი მას მხარს უჭერენ. ამით ცდილობენ ჩააქრონ ხალხის მოძრაობა, მაგრამ ამაოდ: ერთხელ ამოძრავებული ხალხი უკან აღარ დაიხევს და ვაი იმათ, ვინც ამ მოძრაობის შეფერხებას ცდილობს: ხალხი მათ სასტიკათ დასჯის.

—

**ქ. თფილისი**. რამოდენიმე კვირაა, რაც ქალაქს გარეთ მიტინგები ხდება. მუშა და ხელოსანი, ნოქარი და ვაჭარი, სხვადასხვა თავისუფალ პროფესიის წარმომადგენელი—ყველა ქალაქს გარეთ იყრის თავს, სოციალდემოკრატიულ ორატორთ უსმენს. ათასობით ხალხი ნაძალადევის აღმართს აწყდება, რომ დაბორკილ ქვეყანაში ქალაქიდან რამოდენიმე ვერსის სიშორეზე თავისუფალი სიტყვა ისმინოს. ხალხმა მუშათა კლასის მეთაურობით თვითმპყრობლობის ფარგლები რამდენიმე ხნით მაინც გაარღვია, თვითმპყრობლობის სიმძიმის ქვეშ მგმინავი ქვეყანა პოლიტიკურათ თავისუფალ ქვეყანას დაამსგავსა.

27 მარტისთვის თვითმპყრობელმა მთავრობამ მთელი თავისი ადგილობრივი ძალღონე ფეხზე დააყენა. დრაგუნები და კაზაკები, სტრაჟნიკები და სალდათები ნაძალადევს დაეცნენ, რომ თვითმპყრობელობის ისედაც დაცემული გავლენა ხალხში ხელახლა აღადგინონ. ცალიერ თოფების სროლით, კაზაკების მათრახებით მიტინგი დაშალეს. ხალხი არ შედრკა. 10—15,000 კაცი ნაძალადევს სავსებით დაეპატრონა. ჯარი, აქა-იქ ჩამდგარი, ,,წესიერებას‘‘ აღდგენდა, რამოდენიმე ორატორს, რომელთაც შესძლეს კრების საგნის მოკლეთ აღნუსხვა, შეკრებილი ხალხი ჩამოაცალეს. 2—3 საათის შემდეგ აბობოქრებული ხალხი თავისით დაიშალა.

სტამბა თფილისის კომიტეტისა რ. ს. დ. მ. პ.